

გარდა პალეოგრაფიისა, ძეგლ წარწერებს სწავლობს ეპიგრაფიკაც. მათ შორის მრავალი მსგავსების მიუხედავად, ისინი ცალ-ცალკე დარგებად ჩამოყალიბდნენ.

### წერო 3



სურ. 1. ეპიგრაფიკული წარწერა. ბოლნისის სიონი

„ეპიგრაფიკაცა და პალეოგრაფიაც ნაწერის გარებან მხარეს, ასოთა მოხაზულობათა მოყვანილობას იკვლევს უმთავრესად, ამ მხრივ მათ შორის თითქოს არსებითი განსხვავება არ არის და ორივე შესაძლებელი იყო შეურთუბულიყო. მაგრამ ეპიგრაფიკა, ანუ წარწერათმცოდნება მაგარ, მკერზე მასალაზე, ქვ-ლითონზე აღბეჭდილ ნაწერს იხდის თავის შესწავლის საგნად, პალეოგრაფია კი თხელ და ნაზ მასალაზე, ხელითა და სალებავით ნაწერს იკვლევს ხოლმე გრაფიკული მოხაზულობის თვალსაზრისით... შინაარსის მხრით შესაძლებელია წარწერაცა და ხელნაწერიც ერთნაირი ძეგლი იყოს... მაგრამ თავისი გარებანი თვისებებით, გრაფიკულად მათ შორის დიდი განსხვავება იქნება...“.

ფ. ჯავახიშვილი.

### კითხვები

1. წერო 3-ის მიხედვით, რა განსხვავებაა პალეოგრაფიასა და ეპიგრაფიკას შორის?
2. შენი აზრით, რამდენად მნიშვნელოვანია ამ განსხვავებების გათვალისწინება ისტორიული წეროს დამუშავებისას?

მეცნიერები თვლიან, რომ ხალხის ისტორია დამწერლობის შექმნით იწყება. დამწერლობის უძველესი სისტემაა ხატოვანი ანუ პიქტოგრამული. ამ დროს აზრი ნახატის საშუალებით გამოითქმება, თითოეულ სიტყვას თავისი გამომხატველი ნიშანი აქვს. თუ თავდაპირველად ეს ნიშანი ნახატი იყო, მოგვიანებით ის იეროგლიფმა, სიტყვის აღმნიშვნელმა პირობითმა ნიშანმა შეცვალა. იეროგლიფურ დამწერლობათა შორის უძველესია: ეგვიპტური, შუმერული, ჩინური.

ეგვიპტის არქიტექტურული ძეგლები — ტაძრები, პირამიდები, სხვადასხვა მონუმენტები მრავალ იეროგლიფურ წარწერას შეიცავს. ეს იეროგლიფები და-ხატული და ამოკვეთილია დიდი ოსტატობით და წარმოადგენენ საგნების, მცენარეების, ცხოველებისა და ფრინველების მინატურულ გამოსახულებებს.



სურ. 2. პიქტოგრამა

### კითხვები

- შენი აზრით, ეგვიპტის არქიტექტურულ ძეგლებზე არსებული წარწერები:
1. წარმოადგენენ ეპიგრაფიკულ თუ პალეოგრაფიულ ტექსტებს?
  2. შეიცავს თუ არა ისინი ხატოვანი დამწერლობისათვის დამახასიათებელ ნიშნებს?

ეგვიპტელები საწერ მასალად იყენებდნენ პაპირუსს. პირამიდებში და აკლდამებში აღმოჩენილი წიგნები — პაპირუსის გრაფნილები სრულად ასახავენ იმდროინდელი ეგვიპტის ისტორიას, ლიტერატურას, მეცნიერებისა და ეკონომიკის მაღალ დონეს.



სურ. 3. პაპირუსი

### ეს საინტერესოა:

ზოგ იეროგლიფს სიმბოლური დატვირთვა ჰქონდა. მაგალითად, ფუტკარი ან კრაზანა გამოხატავდა „შრომისმოყვარეობას, საქმიანობას“, პაპირუსის გრაფნილი — „ცოდნას“, პალმის ფოთოლი — „ერთ წელიწადს“, კერთხი — „ხელისუფლებას, მეფობას, ბატონობას“.

ეგვიპტელები პაპირუსის ტოტებს წყალში აღბობდნენ, რომ კანის გაცლა ადვილი ყოფილიყო. კანგაცლილი დეროს თეთრ შუაგულს თხელ ფენებს აცლიდნენ, ანათალ ზოლებს სველ ფიცარზე ერთმანეთის გვერდით

ალაგებდნენ და მათ კიდევბს წებოთი აერთებდნენ. შემდეგ ზემოდან საპირისპირო ისევ დაალაგებდნენ თხელ ანათალებს და ისე წექდნენ, რომ პაპირუსის ორთვე ფენა გაერთიანებულიყო, ზედაპირს გააპირალებდნენ და პე-ციალური სითხით დაფარავდნენ.

მოგვიანებით გვიპტელებმა შეძლეს სიტყვების დაშლა მარცვლებად. მათ მსოფლიოში პირველებმა შექმნეს მარცვლოვანი დამწერლობა — ახლა იეროგლიფები არა ცალკეულ სიტყვებს, არამედ სიტყვის მარცვლებს გამოხატავდა.

დამწერლობის მეორე უძველესი კერა შეიქმნა მესოპოტამიაში, იგივე შუამდინარეთში. სწორედ აქ ცხოვრობდნენ ერთ-ერთი უძველესი ცვილიზაციის შემქმნელი შუმერები. მეცნიერებთა ნაწილი თვლის, რომ მათი დამწერლობა შესაძლოა გვიპტურზე უფრო ძველიც იყოს.

### ეს საინტერესოა:

რომელ ხალხს ენათესავებიან შუმერები? ამ საგანზე მეცნიერებაში დავა დღესაც მიმდინარეობს. ზოგიერთის აზრით შუმერული და ქართული ენები ერთმანეთის მონათესავეა და შუმერები ქართველი ტომების წინაპრებადა არიან მიჩნეულნი.

შუმერები აშშადებდნენ თიხის ფირფიტებს, რომლებზეც ნიშნებს საგანგებო ხის საჭრისით კვეთდნენ და ისე წერდნენ. შემდეგ ამ ფირფიტებს გამოწვავდნენ, მათვის სიმტკიცე და გამძლეობა რომ მიენიჭებინათ. შუმერულ დამწერლობას სხვაგვარად ლურსმულსაც უწოდებენ.

### კითხვა:

შუმერების გარდა კიდევ რომელ ხალხებს ჰქონდათ ლურსმული დამწერლობა?

ფინურული	არამეტელი	ბერძნული	ლათინური
Α Β Κ Ζ	፩ ፪ ፫ ፬	ΑΒΓΔΕ	A B C D E
Γ Ζ Η Ε	፪ ፫ ፬ ፭	ΓΗ	G H
Δ Ε Ι Τ	፫ ፬ ፭ ፮	ΔΙ	I
Ε Ζ Λ Μ	፬ ፭ ፮ ፯	ΛΜΝΟ	L M N O
Ζ Ο Ν Π	፭ ፯ ፮ ፻	ΝΠ	N P
Ο Ρ Σ Τ	፯ ፻ ፮ ፻	ΡΣΤ	R S T
Ρ Χ Τ Υ	፻ ፻ ፮ ፻	ΤΥ	T Y
Χ Τ Υ Ψ	፻ ፮ ፻ ፻	Ψ	Psi
Τ Ψ Ξ Ζ	፮ ፻ ፻ ፻	ΞΖ	X Z

ანბანური დამწერლობა ფინიკიულებმა შექმნეს. ფინიკიური დამწერლობა აითვისეს ბერძნებმა. თანამედროვე ბერძნულში ასოების თანმიმდევრობა ისეთივეა, როგორიც ფინიკიურში იყო. ასევე, ფინიკიურის მსგავსად, ბერძნები თავდაპირველად წერდნენ მარჯვნიდან მარცხნივ. შემდეგ მათ წერის „გარდამაცალი სტილი“ შეიძუმავს: პირველ სტრიქონს წერდნენ მარჯვნიდან მარცხნივ, მეორეს კი მარცხნიდან მარჯვნივ და ა.შ. მხოლოდ ძვ.წ. IV საუკუნიდან დაიწყეს ბერძნებმა მარცხნიდან მარჯვნივ წერა.

ფინიკიურ ანბანში 22 ასო იყო, მხოლოდ თანხმოვნები. ხმოვანი ასოები ბერძნებმა ძვ.წ. V საუკუნეში შეიძუმავეს.

ბერძნულისაგან მომდინარეობს ყველა კვროპული ანბანი. ამ საქმეში დიდი როლი შეასრულეს ბერძნულმა კოლონიებმა, სწორედ კოლონისტებისაგან ისწავლეს ანბანური დამწერლობა რომაელებმა, შემდეგ კი კვროპის სხვა ხალხებმა.

### დაფალება 2

- იმსჯელე ფინიკიულებისა და ბერძნების წვლილზე მსოფლიო ცვილიზაციაში.
- იმსჯელე ანბანური დამწერლობის შექმნის მნიშვნელობაზე. შენი აზრით, რა გავლენა იქნია ამ მოვლენამ კაცობრიობის კულტურულ განვითარებაზე?

მსოფლიოში მრავალი ენაა, მაგრამ ანბანური სისტემა სულ თოთხმეტია. მათ შორისაა ქართული დამწერლობა. ქართულმა ანბანმა განვითარების სამი საფეხური განვლო. პირველი საფეხურია მრგლოვანი, რომელიც გავრცელებული იყო VII-X საუკუნეებში. მეორეა ნეუსხური, რომელიც გავრცელებული იყო IX-XI საუკუნეებში, მას ახლაც იყენებენ საეკლესიო საქმიანობაში. მესამე საფეხურია მხედრული.

„ქართლის ცხოვრებაში“ ქართული დამწერლობის წარმოშობის საკითხს ჭება ლეონტი მროველი. ის ქართული ანბანის შექმნასა და ქართული მწიგნობრობის გავრცელებას ერთიანი ქართული სახელმწიფოს ფუძემდებელს ფარნაგაზ მეფეს უკავშირებას.

განსხვავებული ვერსია არსებობს სომხურ ისტორიოგრაფიაში. ისტორიკოს კორინიუსის ცნობით სომქ მოღვაწესა და განმანათლებელს მესროპ-მაშტოცს შეუდგენია როგორც სომხური, ისე ქართული და ალბანური დამწერლობები. ამ თვალსაზრისის მიხედვით, ქართული ანბანი სომქი მოღვწის მიერ V საუკუნეში შექმნილა, რა თქმა უნდა, სომხურისავე საფუძველზე.

კორინიუსის ამ ცნობას არაერთი მკვლევარი იჩიარებდა, ბევრიც მის ჭეშმარიტებას ეჭვის ქვეშ აყენებდა.

კორინიუსის ცნობის უკრიტიკოდ მიღებას გამორიცხავდა, თუმცა მის ხელალებით უარყოფასაც შეცდომად თვლიდა XX საუკუნის ცნობილი მეცნიერი კორნელი კეკლიძე:

#### წერო 4

„მართალია სომხის ისტორიკოსები ცოტა არ იყოს აზვიადებენ მესროპის როლს ქართული ანბანის შემოღბაში... (მაგრამ ქართული ანბანის შემუშავებელ) კომისიაში ინსტრუქტორად მოუწვევიათ მეზობელი სომხეთიდან მესროპი, რომელსაც ქართველები იცნობდნენ, როგორც ანბანის შედგენაში დახელოენებულ კაცს. ამნაირად, მესროპი ამ კომისიაში თამაშობდა მრჩევლის და არა ინიციატორის როლს; მაშასადამე ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ ქართული ანბანი შექმნა, მოიგონა თუ მოწყო მხოლოდ და მხოლოდ მესროპმა და ისიც სომხური ანბანის მიხედვით... მაგრამ ამასთანავე, უეჭველია, კომისიას, რომელშიაც მესროპის გარდა სომხურის ენის მცოდნე ჯაღიც შედიოდა, წინ ექნებოდა სომხური ანბანიც საეჭვო შემთხვევაში სახელმძღვანელოდ“.

ეს თვალსაზრისი ქართველ მეცნიერთა მხრიდან ბოლომდე არ არის გაზიარებული.

#### წერო 5

„ამ საკითხის განხილვა ორი თვალსაზრისით შეიძლება: მოხაზულობისა და ანბანის ასოთა წესრიგის მხრით თუ სომხური და ქართული მართლაც ერთსა და იმავე დროსა და ერთი და იმავე პირის შედგენილია, ცხადია, მათ ასოთა მოხაზულობას შორის დიდი მსგავსებაც უნდა იყოს და ასოებიც ერთსა და იმავე რიგზე იქნება ანბანში დალაგებული... საკმარისია ადამიანმა სომხური და ქართული უძველესი ასოები ერთიმეორეს გულდასმით შეადაროს, რომ დარწმუნდეს, რამდენად დაშორიუბულია და არ მიაგვას ერთიერთმანეს ქართული და სომხური ანბანი... იმ დროს, როდესაც ქართულში „ე“-ს „ვ“-ინი მოსდევს და 6-სა ნიშნავს, სომხურ ანბანში ვინს 30-ე ადგილი აქვს დათმობილი და 3000 ნიშნავს... ცხადია ასოთა რიგისა და მათი რიცხვითი მნიშვნელობის ასეთი თვალსაჩინო, არსებითი განსხვავება ქართულსა და სომხურ ანბანში შეუძლებელია ყოფილიყო, მათი შემდგენელი რომ მართლაც ერთი და იგივე პირი ყოფილიყო, როგორც სომხურ მწერლობაში კორიუნის გადამკეთებელი... ამტკიცებდნენ“.

ფ. ჯავახიშვილი.

#### დავალება 3

1. იმსჯელე კ. კეკლიძისა და ფ. ჯავახიშვილის პოზიციებზე, მიუთით მათი არგუმენტები ქართული დამწერლობის წარმომავლობასთან დაკავშირებით, გამოითქვი შენი აზრი ამ საკითხზე.

2. როგორ გესმის ფ. ჯავახიშვილის სიტყვები: „...როგორც სომხურ მწერლობაში კორიუნის გადამკეთებელი... ამტკიცებდნენ“ (წერო 5).

ქართული ანბანის შექმნის პერიოდის განსაზღვრა დღესაც აქტუალური საკითხია. დიდი ხნის განმავლობაში ლეონტი მროველის ცნობა უკრიტიკოდ იყო მიღებული. მაგრამ ამ ფაქტის დადასტურება ჯერ არ მომხდარა, დღემდე არ არის აღმოჩენილი ფარნაგაზისდროინდელი ქართული წარწერის ფრაგმენტი.

მკვლევართა ნაწილი ქართული ანბანის წარმოშობას ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებას უკავშირებს. ასე ფიქრობდნენ ცნობილი მეცნიერები აკაკი შანიძე და კორნელი კეკლიძე. არსებობს განსხვავებული თვალსაზრისებიც:

#### წერო 6

„ქართული ანბანის შემოღება ქრისტიანობის ოფიციალურ რელიგიად გამოცხადების შემდეგ საეჭვოა იმის გამო, რომ ქართულ საისტორიო წყაროებში დაწვრილებით არის მოთხოვილი ქართლის გაქრისტიანების შესახებ, მაგრამ არაფერია ნათქვამი დამწერლობის შემოღების თაობაზე. ცხადია, მემატიანე ქრისტიანობასთან დაკავშირებულ ასეთ მნიშვნელოვან ფაქტს უთუოდ აღნიშნავდა...“.

ე. ზინთიაბიძე.

### წყარო 7

„საფიქრებელია, რომ ჩვენში უკვე I საუკუნიდან არსებობდა ქრისტიანული თემები. ისინი II-III საუკუნებისათვის აღმართ იძლენად მომძლავრდნენ, რომ აუცილებელი გახდა ქრისტიანული ლიტურგიისათვის აუცილებელი წიგნების ქართულად თარგმნა, ამ საჭიროებისათვის უნდა შექმნილიყო დამწერლობა ჩვენში ქრისტიანული რელიგიის ოფიციალურ სარწმუნოებად მიღებამდე“.

კ. დანელია, ზ. სარჯველაძე.

### დაფულება 4

1. ტექსტის, წყარო 6-ისა და 7-ის მიხედვით იმსჯელე ქართული ანბანის შექმნის საკარაულო პერიოდებზე. გამოთქვი შენი მოსაზრება ამ საკითხთან დაკავშირებით.

2. იმსჯელე, რატომ უკავშირუებენ მკვლევარები ქართული დამწერლობის შექმნას ქრისტიანობის გაფრცელებას.

### ეს საინტერესოა:

სამხედრო ცნობებისა თუ ცალკეული ბრძანებების საიდუმლოდ შენახვის მიზნით მრავალ ქვეყანაში იყენებდნენ საიდუმლო ანბანს. როგორც ისტორიული წყაროებიდან ირკვევა ასეთი ანბანი ქართველებსაც შეუმუშავებიათ. XVII საუკუნის ისტორიკოსი მას „ანჯანის ანბანის“ უწინდებს. ფ. ჯავახიშვილის აზრით: „ამ საიდუმლო ანუ სამალავადი ანბანის მთელ საიდუმლოებას ანბანის უკუდმა მობრუნება და ერთი ასოს მაგიერ თავიდან მოყოლებული მეორის ხმარება შეადგენს. ეს მეორე სანაცვლოდ შემოღებულ ასოთა რიგი ჩვეულებრივი ანბანის ბოლოდან იწყება. ამგვარად ბგერა „ა“-ნის აღსანიშნავად ასო „ჯ“-ანია მიღებული, „ბ“-ანის ნაცვლად „ხ“ და ასე ამგვარად“.

### დამოუკიდებელი სამუშაო

მოიძიე დამატებითი მასალა დამწერლობის (მათ შორის ქართულის) შექმნაზე, მისი განვითარების ეტაპებზე და იმსჯელე ცოდნილი ისტორიული მასალის გამოყენების მნიშვნელობაზე.

## §5. პველი ხელნაწერები და ფიგურუსაცავები

თავდაპირველად ადამიანები წერდნენ ქვაზე, თიხის ფირფიტაზე, ფიცარზე, ძვალზე; შემდგომში იყენებდნენ პაპირუსს, პერგამენტს, ქაღალდს.


რომაელები ქალაქის მოედნებზე გამოსაფენ კანონებს ხის ფიცრებზე წერდნენ. ეკონომიის მიზნით ხის საწერ ფიცრებს გასანთლავდნენ ხოლმე. ასეთი მასალის გამოყენება რამდენჯერმე შეიძლებოდა. საწერი ხის ფიცრები, ანუ დაფები შეიძლება აკინძულიყო ორკეცად, სამკეცად ან მრავალკეცად. რომაელები ასეთ საწერ დაფებს კოდექსებს, ქართველები კი კარედებს უწოდებდნენ.

ყველაზე გავრცელებული საწერი მასალა საქართველოში ეტრატი ანუ პერგამენტი იყო. პერგამენტი ქალაქ პერგამონის სახელთანაა დაკავშირებული. სწორედ ამ ქალაქში ამზადებდნენ საუკეთესო ტყვიის საწერ მასალას — ეტრატს. პერგამენტს პაპირუსზე უკეთესი თვისებები ჰქონდა: გამოირჩეოდა გამდლეობით, მოქნილობით, რაც მთავარია, მისგან წიგნის აკინძგაც შეიძლებოდა.


### ეს საინტერესოა:

პერგამენტს ცხვრის, ხბოს, თხის ან ირმის ტყვაისაგან ამზადებდნენ. ჯერ ტყვას კირიან წყაროში აღმობდნენ, შემდგე ბალანს აშორებდნენ და მაგრად გადაჭიმავდნენ ბრტყელ ზედაპირზე. გამშრალ ტყვას დასარბილებლად ცხიმით ან ქონით გაპოხავდნენ, მელნის დაჭრის მიზნით კი შაბისა და კვერცხის ცილის ნარევით მიღებულ ემულსიას უსვამდნენ.

საშუალო ზომის ხელნაწერ წიგნს 80-100-მდე ცხვრის ან ხბოს ტყვაი სჭირდებოდა და, ამდენად, ის საკმაოდ ძვირიც ლირდა. ამის მიუხედავად, საქართველოში ეტრატს ადგილის დაუზოგავად იყენებდნენ, გვერდებზე ფართო არშიებს ტოვებდნენ და ტექსტებსაც ლამაზად აფორმებდნენ.



სურ. 1. ქვის სტელა



სურ. 3. პერგამონი

## წყარო 1

„ეტრატს დამწერლობის განვითარებისა და მწიგნობრობა-განათლებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რაღაც მისი მოქნილობა და გამძლეობა სწრაფწერასა და მის გავრცელებას ხელს უწყობდა და აადვილებდა. ძეგლების მხატვრული დამუშავება-შემკებაც სწორედ ახლა იყო შესაძლებელი. ეტრატის სიმტკიცე მასზე დაწერილ ძეგლს ისეთ ხანგრძლივობას ანიჭებდა და მისი დაუზიანებლივ წაკითხვა-ხმარება იმდენად შესაძლებელი ხდებოდა, რომ წინათ ამაზე ოცნებაც კი შეუძლებელი იყო. ერთი წიგნი ქმლა მრავალი საუკუნის განძვლობაში და მრავალი მკითხველისათვის ხელმისაწვდომი და გამოსაღები შეიქნა. ეტრატის სიძვირეს ეს მისი უცილობელი თვისებები იმდენად ამცირებდა, რომ ჭილმა მეტოქეობას ვერ გაუმდლო და მოისპონ.“

ფ. ჯავახიშვილი.

## დაგალება 1

ტექსტისა და წყარო 1-ის მიხედვით იმსჯელე იმ მიზეზებზე რამაც ეტრატის ფართო გავრცელება განაპირობა.

ჩინური მატიანის მიხედვით ქაღალდი ძვწ. 105 წელს ვინმე ცაილუნს გამოუგონია. ამის შემდეგ ჩინელები ქაღალდის წარმოებას დიდი წნის მანძილზე საიდუმლოდ ინახავდნენ. გადმოცემის თანახმად, 751 წელს არაბებს ერთი ჩინელი ჩაუკარდათ ტყველ, რომელსაც ქაღალდის გაკეთება სცოდნია და არაბებისათვის საიდუმლო გაუმჯობენებდა. ჩინელები ქაღალდს ხის მერქნისგან ამზადებდნენ. არაბეთში ხე-ტყის დეფიციტი იყო და ამიტომ ქაღალდის დამზადება ტილოს ნაგლეჯებისა და ძონძებისაგან დაიწყეს, რამაც ქაღალდის ღირებულება გააიაფა. თანდათან არაბებმა ქაღალდის დამზადების ტექნოლოგიაც გაუმჯობესეს — ისინი უფრო მაგარ წებოს იყენებდნენ. რითაც არაბულმა ქაღალდმა მეტი სიმტკიცე შეიძინა.

### ეს საინტერესოა:

ქაღალდის პირველი ქარხანა VIIIს-ში არაბეთის იმპერიის დედაქალაქ ბაღდადში დაარსდა. ბაღდადური ქაღალდი მაღალ სახალიფოს საზღვრებსაც გასცდა. სხვა ქვეყნებთან, მათ შორის ევროპელებთან ვაჭრობაში, ქაღალდის ექსპორტს სახალიფოსა და არაბი ვაჭრებისათვის დიდი მოგება მოჰკონდა.

არაბებმა პირინეის ნახევარკუნძულის დაპყრობასთან ერთად ქაღალდი ესპანეთსა და მთელ ევროპაში გავრცელეს. ევროპაში ქაღალდის დამზადებელი პირველი ქარხნები XII საუკუნეში გაჩნდა ესპანეთსა და იტალიაში. ოდნავ მოგვიანებით ქაღალდის წარმოება საფრანგეთშიც დაიწყეს.

XIII-XIV საუკუნეებში ახლო აღმოსავლეთს მონღოლთა დაპყრობების ტალღამ გადაუარა, რამაც მძიმედ იმოქმედა აქ მცხოვრები ხალხების კულტურასა და ვაჭრობა-ეკონომიკაზე, დაეცა ქაღალდის წარმოებაც და უკვე XV საუკუნიდან მყოლებული არაბული და მთელი აღმოსავლერი სამყარო, ძირითადად, ევროპული წარმოების ქაღალდს იყენებდა.



ქაღალდზე შესრულებული უძველესი ქართული ხელნაწერი XI საუკუნით თარიღდება. მაგრამ, საფრანგოდ, ჩვენში ქაღალდს უფრო ადრიდან იცნობდნენ და იყენებდნენ. VII საუკუნიდან აღმოსავლეთ საქართველოში არაბები ბატონობდნენ და სწორედ მათგან გაეცნენ ქართველები ქაღალდს. საფურადებოა, რომ ქაღალდის აღმნიშვნელი ტერმინები ქართულს არაბული ენისაგან უსესხებია. XI-XIV საუკუნეებში ქართულ წერილობით წყაროებში გვხვდება ტერმინი „ქაღალდ“, რაც არაბულის პირდაპირი გამეორებაა. სწორედ მისგანაა წარმოებული სიტყვა „ქაღალდი“.

არსებობს გარაუდი, რომ საქართველოში არაბული წარმოების ქაღალდთან ერთად ადგილობრივ პროდუქციასაც იყენებდნენ.

## წერო 2

„ძველ საქართველოში საკუთარი ქაღალდი პქონიათ. საამისო წარმოება აქ დიდად განვითარებული ყოფილა. თავისი ძირითადი თვისებებით (სისქე, სიმკერივე, სითუთრე, და სხვ.) ქართული ქაღალდი არც ერთი სხვა ქვეყნის საუკუთხო ქაღალდს არ ჩამოუვარდებოდა“.

რ. პატარიძე.

## დაჯალება 2

1. შეაფასე ქაღალდის გამოგონების მნიშვნელობა.
2. იმსჯელე არაბთა როლზე ქაღალდის წარმოების განვითარებისა და გავრცელების საქმეში.



ძველად წიგნებს ხელით წერდნენ, რაც საკმაოდ შრომატებადი პროცესი იყო. ისტორიაში არაერთი ქართული ხელნაწერი წიგნი შემოგვინახა. წიგნების დიდი ნაწილი კი, საგარაულოდ, დრო-უამმა და მტრის შემოსევებმა იმსხვერპლა. საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ ბევრი საგანმანათლებლო კერა არსებობდა. მათი უმრავლესობა ეკლესია-მონასტრებთან იხსნებოდა და მთარგმნელ-მწერალთა უმეტესობა ბერ-მონაზვნები იყვნენ, წიგნების უმრავლესობაც სასულიერო შინაარსისა იყო.

## წერო 3

„შუა საუკუნების ქრისტიანულ ქვეყნებში გადამწერთა ხელობას მეტწილად სასულიერო წოდების წარმომადგენლები მისდევდნენ, რაღაც სწავლა-განათლების საქმეს ძირითადად ეკლესია წარმართავდა. მაგრამ XI-XIII საუკუნებში საქალაქო ცხოვრების განვითარებამ გამოიწვა საერო სკოლების შექმნა; გაჩნდა მოთხოვნილება არა მარტო სასულიერო, არამედ საერო წიგნებზე. ასეთ გაზრდილ მოთხოვნილებას მხოლოდ ეკლესია ვერ დააკმაყოფილებდა და პროფესიონალ გადამწერებად საერო წრის წარმომადგენლებიც უნდა ყოფილიყვნენ. მართალია.... საქართველოში მე-14 საუკუნემდე პროფესიონალ გადამწერებად მხოლოდ სასულიერო წრის წარმომადგენლები გახვდებინ, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მანამდე, თუნდაც დავით აღმაშენებლის დროიდან გადამწერად არასამღვდელოები არ არსებობდნენ და XII საუკუნის ბრწყინვალე პოეტური და პროზაული ტექსტების ფილაციის საქმეში ისინი არ მონაწილეობდნენ“.

კ. დანელია, ზ. სარჯველაძე.



ათონის ივერთა მონასტერში მოღვაწე თეოფანე ხუცესს თავის სიცოცხლეში დაახლოებით 75 მოზრდილი წიგნი გადაუწერია. არანაკლებ შთამბეჭდავია ამ მონასტრის წინამდლოლის, გიორგი მთაწმინდელის შრომის ნაყოფიერება — მას 40 წიგნი დაუწერია, რომელთა ნაწილი ბერძნულიდან უთარგმნია, ნაწილი კი საკუთარი შემოქმედების ნაყოფია.

სურ. 2 . ხელნაწერი სახარება

## წერო 4

„.... XIV საუკუნის ქართულ საკანონმდებლო წიგნში „გარიგება ხელმწიფის კარისა“-ში ვკითხულობთ, რომ საქართველოს სამეფო კარის წერილობით საჭიროებას ოცდა ექვსი მწიგნობარი ემსახურებოდა ჰყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის მეთაურობით. ამისათვის თურმე „ხუთი ფურცელი ქაღალდი ყოველთა დღეთა ჰყონდიდელსა, სამი ფურცელი საწოლის მწიგნობარსა, ორი ფურცელი ზარდახანის მწიგნობარსა და თითო ფურცელი სხვათ მწიგნობართა“ ეძლეოდა. გამოდის, რომ ყოველთა დღეთა მხოლოდ სამეფო კარზე საშუალოდ 34 ფურცელი ქაღალდი იწერუბოდა. და ასეთი რამ საგარაუდებელია, სულ მცირე, ორას-სამასი წლის მანძილზე (XII-XIVს.) ჩვენს დრომდე კი აქედან ნახევარი დღის პროდუქციას თუ მოუღწვია...“.

ნ. ბერძნიშვილი.



### ეს საინტერუსოა:

ყურადღება ექცევოდა წიგნის მორთვას, მის გარეგან სიღამაზეს. ზოგჯერ წიგნების გადამწერნი ცარიელ ფურცლებს ტოვებდნენ სურათების დასახატავად. შეძლებული ადამიანები სურათებს საბერძნეთიდანაც იწერდნენ.

ყოველ მნიშვნელოვან წიგნს სკამდნენ ძვირფას ყდაში, რომელიც მოხატული და ძვირფასი ქვებით მოჭედილ-მოვარაყებული იყო. ქართლის კათალიკოსს, მელქისედეკს (XII.) თავის სიგელში აღნიშნული აქვს, მან საკათალიკოსო ტაძარს შესწირა სახარება „გარე თვლითა და მარგალიტთა შემკობილი“ და კიდევ ერთი წიგნი „გერუე ვერცხლითა შეკაზმული“, ასევე კურთხევანი „გარე ოქროს ხატით მოჭედილი“. ზელოვნების ცნობილი ნიმუშია ბექა ოპიზარის მოჭედილი სახარების ყდა.

სურ. 3. ბექა ოპიზარის მოჭედილი ბელის კულტურისა და სოციალური მდგომარეობის მაჩვენებელიც იყო და თავმოწონების საგანიც. ისეთ ადამიანებს, რომლებმაც წიგნის ფასი იცოდნენ

და მას შერუწველობით ეპყრობოდნენ, „ტროფიალი წიგნთაი“-ს უწოდებდნენ. მემატიანენი გამოჩენილი პიროვნებების საგმირო საქმეთა ჩვენების გვერდით ხაზგასმით აღნიშნავდნენ მის სიყვარულს წიგნისადმი, როგორც ამა თუ იმ პიროვნების კულტურის, მაღალი ზნეობისა და დარბასისლობის მაჩვენებელს. ნიშანდობლივია, რომ ისტორიული წყაროები დავით აღმაშენებლის საქვეყნო საქმების გადმოცემასთან ერთად, საგანგებოდ მიუთითებენ მეფის სიყვარულს წიგნისადმი. ერთ-ერთი უძლიერესი ფეოდალის შესახებ ვკითხულობთ: „ერისთავთ-ერისთავი ლიპარიტ მოსწრაფედ ტროფიალი წიგნთა...“.

### კითხვები

1. წყარო 3-ის მიხედვით, რატომ იყენენ გადამწერები ძირითადად სასულიერო წოდების წარმომადგენლები?
2. ტექსტისა და წყარო 4-ის მიხედვით, რამდენად ინტენსიურად მიმდინარეობდა საქართველოში ხელნაწერი წიგნების შექმნა?

### დაგენერაცია 3

იმსჯელე წიგნის წერისა და წიგნისადმი დამოკიდებულების ტრადიციებზე საქართველოში.

განსაკუთრებით დიდი რაოდენობის წიგნები იყო დაცული მცხეთის საპატრიარქო წიგნთსაცავში, ასევე დაგიოთ-გარეჯის, შიომღვიმისა და გელათის მონასტრებში. არსებობდა სამეფო წიგნთსაცავიც, რომელიც მეფის სასახლესთან ახლოს ან თვით სასახლეში იყო. ამ წიგნთსაცავებში ქართულის გარდა ინახებოდა ბერძნული, არაბული და სპარსული ხელნაწერებიც.

ქართული ხელნაწერი წიგნების მდიდარი ბიბლიოთეკები არსებობდა ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთაც. ქართული საეკლესიო და საგანმანათლებლო ცენტრები მოქმედებდა პალესტინაში: საბაზისი, პალავრა, სინას მთა, გოლგოთა, გეთსიმანია.

მრავალი ხელნაწერი წიგნი იქნებოდა და ინახებოდა იერუსალიმის ჯვრის მონასტერში, სინას მთასა და პეტრიწონში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ათონის ივერთა მონასტრერი.

მდიდარი ბიბლიოთეკები ყველა კულტურულ სახელმწიფოში არსებობდა. უძველესი ბიბლიოთეკები აღმოჩენილია ევგიპტეში. მათ არც ბაბილონელები და ასურელები ჩამორჩებოდნენ. ქალაქ ნინვეის გათხრებისას არქეოლოგებმა მიაკვლიერა ასურბაնიაბლის უმდიდრეს ბიბლიოთეკას (ძვ.წ. VII-VI სს.) — ისტორიკოსების განცვითორებას იწვევს არა მხოლოდ აღმოჩენილი თიხის ფირფიტების რაოდენობა (50000 ცალი), არამედ მათი შინაარსის მრავალფეროვნებაც. აյ აღმოჩენილი ტექსტები რელიგიური, საისტორიო, ასტრონომიული, საბუნებისმეტყველო შინაარსისაა.



სურ. 4. ჰერქონი



## §6. ენათმეცნიერება და ტოპიკი

ისტორიის ადრეული ეპოქების შესწავლის საქმეში განსაკუთრებულია ენათმეცნიერების როლი. ენებზე დაკვირვებასა და მათი თვისებების გაანალიზებას შეუძლია, გარკვეული წარმოდგენა შეგვიქმნას უშორესი წარსულის არაერთ მოვლენაზე — „ცხოვრება ერისა გადაშლილია, გამოშეურებულია მის ენაში, რომელიც უტყუარი სარკეა ყოველის მისი თავგადასავალისა და ყოფაცხოვრების ცვალებადობისა“ (ილია ჭავჭავაძე).

### ეს საინტერესო:

ილია ჭავჭავაძე ისტორიამდელი წარსულის შესასწავლად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ენას. იგი სწორად თვლიდა, რომ ერის მეტყველებაში თვისებურად აისხება ქვეყნის წარსული, ხალხის თვეგადასავალი. ქართულ ენაში საამისო მაგალითი ილია სიტყვა „წყალიან“ დაკავშირებულ ფორმები (წყალობა, მოწყალება, შეწყალება, საწყალი, უმოწყალო და სხვა) ხედავს, რაც აფიქრებინებს მას, რომ ჩვენს შორეულ წინაპრებს, ქვეყნის უფრო სამხრეთ ნაწილში, ცხელ და უწყლო მხარეში უნდა ეცხოვათ.



სურ. 1. აკაკი შანიძე



სურ. 2. არნოლდ ჩიქობავა

ქართული ენა საყურადღებო მასალას გვაწვდის მეზობელ ხალხებთან ჩვენი ურთიერთობის შესახებ დაწყებული უძველესი დროიდან. ისტორიკოსი უნდა დაუკვირდეს სხვადასხვა ხალხების ენობრივ მსგავსებას, გაარკვიოს, რა სახის ურთიერთობა უნდა ჰქონოდათ მათ ერთმანეთთან და, გარდა მეტყველებისა, კიდევ რაში შეიძლებოდა ასახულიყო ეს ურთიერთობა.

ხშირად წარსულის ფაქტებისა თუ მთლიანად ეპოქების შესწავლისას, განსაკუთრებით სხვა სახის წყაროების ნაკლებობის შემთხვევაში, ძირითად მასალას ენობრივი მონაცემები იძლევა, მათში უხსოვარი პერიოდების არა-ერთი საგულისხმო ცნობა იკვეთება.

### წყარო 1

„უხსოვარი დროიდან მოყოლებული ქართველ ხალხს ურთიერთობა ჰქონდა მსოფლიოს მრავალ ხალხთან თუ ეთნიკურ ჯგუფთან. ეს კონტაქტები შეპირობებული იყო გეოგრაფიული მეზობლობით ანდა კულტურულ-ეკონომიკური თანამშრომლობით.

ეთნოკულტურული კონტაქტები მკვეთრად არის აღტეჭდილი ქართული ენის სტრუქტურასა და ლექსიკაში. უცხოური ენობრივი ფენების გამოვლენა აშენებს ქართველების ისტორიული განვითარების გზას და მათ ურთიერთობებს სხვადასხვა წარმოშობის ხალხებთან.

ამასთანავე ქართულ ენასაც თვისის წვლილი შეუტანია სხვა ენათა ისტორიულ განვითარებაში...“.

შოთა ძიძიგური.

მრავალი სიტყვა ქართულში სხვა ენებიდან შემოვიდა. მათ დღეს ჩვეულებრივად ვიყენებთ და ზოგჯერ კი წარმოვიდენთ, რომ უცხო ენიდანაა შეთვისებული. ასეთი სიტყვებია: თიკანი, ღორი, კატა, ლომი, ირემი, ურემი, კბილი, ზღვა... (ინდოველოპული წარმომავლობის); კანონი, პალატი, ისტორია, მათემატიკა, რიტორი, მუსიკა, გრამატიკა, დემოკრატია, დიალოგი... (ბერძნული); ახოვანი, პატივი, ხარკი, ქურუმი, სასტიკი... (სომხური); ყოჩი, იალაღი, დოლი, ბუღა, ტოლმა, ხიზილალა... (აზერბაიჯანული); ოჯახი, ყუმბარა... (თურქული) და სხვა.

ქართულ ენას შემოუნახავს მცირე აზიის უძველესი, დღეისათვის გადაშენებული ენების კვალი. ეს ენებია: ურარტული, ხეთური, კიმერიული, ძველბერძნული, ძველირანული.

### ეს საინტერესო:

❖ არსებობს მოსაზრება, რომ ქართული წარმართული ღმერთი — არმაზის სახელი ხეთური მთვარის ღმერთის „არმა“-ს სახელს უკავშირდება. უძველესი წინააზიური სახელები უნდა იყოს დაცული ძველი ქართული კურპების: ზადენის, აინინასა და სხვათა სახელწოდებებშიც.

თვალსაჩინოა ქართულ და ხეთურ სიტყვებს შორის მსგავსება:

ხეთური სიტყვა	მისი მნიშვნელობა	ქართული სიტყვა
კარდ	გული	მკრდი
სუფფი	წმინდა	სუფთა
ველლუ	მდელო	ველი
ქარამ	ღვინის ჭურჭული	ქვეჯრი
დუდუმილ	ჩუმად, ფარულად	დუმილი



სურ. 3. არმაზის ბილინგვა


❖ არსებობს მოსაზრება, რომ იბერიის სამეფოში, თავდაპირველად, ოფიციალურ დოკუმენტებს არამეულ ენაზე ადგენდნენ. არმაზში აღმოჩენილი წარწერებიდან ჩანს, რომ იბერიაში შეიქმნა არამეულის ერთგვარი შტო დამწერლობის ნიშნებითა და ზოგიერთი ენობრივი თვისებურებით. ამ შტოს ისტორიკოსმა გიორგი წერეთულმა „არმაზული“ უწოდა.

❖ VII საუკუნიდან საქართველოს მოსახლეობა უშუალო კავშირს ამყარებს არაბებთან. არაერთი არაბული ლიტერატურული და სამეცნიერო ძეგლია ქართულად თარგმნილი. ქართველმა მწიგნობრებმა კარგად იცოდნენ არაბული ენა — სინას მთაზე ნაპონია ქართული ხელნაწერები, რომლებსაც მინაწერები არაბულ ენაზე აქვს დართული. შესაძლოა, სინას მთაზე ქართველების მიერ არაბულის შესწავლის ტრადიციაც არსებობდა.

### კითხები:

1. შენი აზრით, რა სახის ისტორიულ ინფორმაციას გვაწვდის სამეტყველო ენა?
2. რა განაპირობებდა ქართულ ენაში უცხო სიტყვების დამკვიდრებას?
3. შენი აზრით, რამდენად სახიფათოა ან სასარგებლო ამა თუ იმ ენის არსებობისა და განვითარებისათვის მასში უცხო სიტყვების დამკვიდრება? დაასაბუთე შენი პოზიცია.

მსოფლიოს სხეადასხვა ენები არაერთი ქართული სიტყვითა გამდიდრებული. ქართულიდან გაურცელდა: სომხურში — ყრმა, პირი, საუნჯე, ველი, ვარდნა...; აზერბაიჯანულში — გუთანი, ჭაჭა, ჭინჭარი... მეცნიერთა ვარაუდით, ინდოევროპულმა ენებმა, სიტყვა ღვინო (ფრანგულად — vin, გერმანულად — wein, ინგლისურად — wine, რუსულად — ВИНО) ქართულიდან ისესხს.



სურ. 3. რთველი. კასტელი

### წყარო 2

„თუ გავიხსენებთ ბიბლიაში არსებულ ქველ გადმოცემას, რომელიც გვამცნობს, რომ ამიერკავკასია ვენახისა და ღვინის სამშობლოა, სერიოზული საფუძველი გვექნება... რომ მაღალი სასოფლო-სამეურნეო კულტურის მაჩვენებელი ისეთი სიტყვა, როგორიც არის ღვინო და თვით საგანი იმით აღნიშნული, ქართულიდან იყოს მთელ მსოფლიოში გაურცელებული“. გ. წერეთული.

### დაულება 1

წყარო 2-ის მიხედვით ღვინის აღმნიშვნელი სიტყვა მსოფლიოს მრავალი ხალხის ენაში ქართულიდან დამკვიდრდა. აღსანიშნავია, რომ ლითონების აღმნიშვნელი ქართული სიტყვები (რკინა, ვერცხლი, თუთა, სპილენძი...) ადგილობრივი წარმოშობისაა და არა ნასესხები.

### კითხვა:

შენი აზრით, რატომ არის სამეურნეო ხასიათის სიტყვები და ტერმინები ადგილობრივი წარმომავლობის?

შორეული წარსულის შესახებ მნიშვნელოვან ინფორმაციას შეიცავს ტოპონიმიკური მონაცემები. ტოპონიმიკა შეისწავლის გეოგრაფიული სახელწოდებების წარმოშობასა და მათ მნიშვნელობას (ტოპონის — ადგილი; ონიმა — სახელი). ტოპონიმი დიდხანს ცოცხლობს. მისი ისტორია ბევრად უსწრებს წინ დამწერლობის წარმოშობას. ტოპონიმი ჩნდება ენის გაჩენისთანავე და ენას თან ახლავს მისი არსებობის მთელ მანძილზე. ამიტომ იგი ისევე გამძლე

და ძველია, როგორც თვით ენა. ამ სახის მონაცემებში ისტორია ყოველთვის ტოვებს კვალს – „ტოპონიმიკა მიწის ენაა, ხოლო მიწა წიგნია, რომელშიც კაცობრიობის ისტორია გეოგრაფიული ნომენკლატურითა ჩაწერილი“ (ნ. ნადეჯდინი, რუსი ისტორიკოსი).

### წერო 3

„... ტოპონიმიკა მომავალ თაობებს უნახავს ხსოვნას იმ ხალხებზე, რომლებიც დიდი ხნის წინათ გაქრნენ ისტორიის სარბიელიდან, მათი შთამომავალნი კი ახლადმოსულთა შორის გაითქვითნენ, შეიცვალეს ენა, ზემოთულება, კულტურა. ამ ახალი ხალხების თაობები განცვითორებაში მოღიან მათთვის კარგად ცნობილი ადგილისა და მდინარეების, ტბების სახელები მათი შორეული წინაპრების ენაზე ამა თუ იმ შინაარსის სიტყვას რომ აღნიშნავდა“.

გახტანგ ითონიშვილი.

### წერო 4

„ტოპონიმებს ადამიანთა ჩვეულებრივ ურთიერთობასა და მეტყველებაში ერთობ დიდი ადგილი უჭირავს. უტოპონიმებოდ ადამიანს არსებობა არ შეუძლია: ქუჩა, სოფელი რაიონი, ქალაქი, მთა, ტყე, ბალი, მდინარე, წეარო, ვენახი, გზა... და მათი სახელწოდებანი იმდენად მახლობელია ქალაქისა თუ სოფლის მცხოვრებთათვის და ისეა დამკვიდრებული მათ ყოფაში, რომ ყოველდღიურ სიტყვა-პასუხში აქტიურად მონაწილეობს“.

ალექსანდრე ლლონტი.

### დაგენერაცია 2

იმსჯელე, რას შეისწავლის ტოპონიმიკა; რა მნიშვნელობა აქვს მას ისტორიის შესწავლისა და ჩვენი ყოველდღიური ცხოვრებისათვის.

### ეს საინტერესოა:

მეცნიერები ფიქრობენ, რომ ამა თუ იმ გეოგრაფიული ადგილის სახელწოდება შესაძლოა, სტიქიურადაც კი გაჩნდეს.

### წერო 5

„სტიქიური წარმოშობისაა ტოპონიმი რიო-დე-ჟანეირო. ცნობილია, რომ ეს ტერმინი პირველად შემოიღო ამერიგო ვესპუჩიმ. მოგზაური ახალ წელს (პირველ იანვარს), ადრე დილით თავის კავკიდან გამოსულა ადგილმდებარებობის დასაზერად. ოგალი მოუკრავს ზღვის უბისათვის, რომელიც დიდი მდინარე ჰერონებია და დაურქმდება რიო-დე-ჟანეირო – „მდინარე იანვრისა“. სახელწოდება დამკვიდრდა. მეცნიერები სწორად შენიშნავენ, რომ ეს სახელწოდება შემთხვევით გაჩნდა; ამერიგო ვესპუჩი წინა დღეს რომ გამოსულიყო ადგილმდებარეობის დასაზერად, მდინარეს სხვა სახელს დაარქმდებოდა. სავსებით მართალი მსჯელობაა! ტოპონიმი შემთხვევით, სტიქიურად გაჩნილა. ასევე ცოტამ თუ იცის, მაგალითად, აზიის ერთი ცნობილი ტოპონიმის „ბუცეფალის“ წარმოშობა. იგი ცხენისაგან შერქმეული სახელიდან წარმომდგარა. ალექსანდრე მაკედონელს აზიაში ლაშქრობისას ერთ ადგილას ცხარე ბრძოლა მოუგია, მაგრამ საყვარელი ცხენი – ბუცეფალი დაუკარგავს. გამარჯვების აღსანიშნავად მეფეს ამ ადგილას ციხე-სიმაგრე აუგია და ცხენის სახელი ბუცეფალი უწოდება...“.

ალ. ლლონტი.

### დამოუკიდებელი სამუშაო

1. საცხოვრებელი ადგილის მიხედვით შეარჩიე რომელიმე ტოპონიმი და ახსენი მისი წარმომავლობა და მნიშვნელობა.

2. საქართველოში, ადგილობრივთან ერთად, გავრცელებულია ბერძნული, ებრაული და სპარსული საკუთარი სახელები. გამოარკვიე შენი ოჯახის წევრების ან თანაკლასელების სახელთა წარმომავლობა.

### განმარტებები:

აპრილული – იმთავითვე არსებული

(გეოგრაფიული) ნომენკლატურა – ტერმინთა და სახელწოდებათა სია

## §7. ფოლკლორული წყაროები

ხალხური ზეპირსიტყვიერების შესწავლა საკმაო მასალებს გვაძლევს შორეული წარსულის ადამიანთა ყოფასა და ზნეობაზე.

### წყარო 1

„არ უნდა დავივიწყოთ, რომ აუარებელი ისტორიული მასალა დაშონილა თვით ზეპირსიტყვაობაში: ზღაპარნი, იგუვარაკნი, ლეგენდანი, შელოცვანი, თქმულებანი, შესახებ პირუტყვებისა, ფრინველებისა, ნიშებისა, სოფლებისა, ციხეებისა, სახალხო ლექსი, გამოცანანი და სხვა არიან დაუფასებელნი წყარონი ჩვენის ცხოვრებისა.

ყველა ერის ისტორიის დასაწყის ხანას პფარავს განვლილ საუკუნეთა წყვდიადი. ისტორია ერისა, ვიდრე განვითარებილი დაწერილი მატიანე, ზეპირად გაღმოიცემის, თაობანი და მოდგმანი მქობენ მას თვის წინაპრების საგმირო მოთხოვითა და ამბებით...“.

მ. ჯანაშვილი.

### წყარო 2

„თუ ისტორიის წინათ ყოფილ დროს ავიღებთ, ცხრა კლიტით დაკეტილი სალაროა და გასაღები ზღვაშია გადაგდებული. ადამიანის გონებამ მაიც იპოვა ეს გასაღები და ამ სალაროს კარი გაგვიღო ცოტად თუ ბევრად. ეს გასაღები ზოგჯერ იგი ამბებია, რაც ადამიანს დაუხსოვებია ზღაპრულად. ხშირად ამისთვის ამბებში ვპოულობთ ბევრს მართალს აღწერას ზნე-ჩვეულებისას. ეს ამბები, ენისა და ეთნოგრაფიის გვერდით, მეცნიერებამ გამოიყენა იმ ცხრა კლიტით დაკეტილის გასაღებად“.

ილა ჭავჭავაძე.

ხალხური სიტყვიერების შეგროვება არ არის იოლი საქმე. სიფრთხილეა საჭირო ფოლკლორული მასალების ჩაწერის დროსაც.

### წყარო 3

„დაწერმა (ჩამწერმა) თავის თვეს ნება არ უნდა მისცეს მცირეოდნის ცვლილებების მოხდენისა. ადგილობრივი გამოთქმა, სიტყვები, სიტყვების დალაგება ფრაზებში, ფრაზების ერთმანეთთან დამოკიდებულება, — ყველაფერი სასტიკად უნდა დაიცვას დამწერმა: ის ადგილიც კი არ უნდა შეცვალოს, რომელიც უაზრობად ეჩვნება“.

ი. გოგებაშვილი.

#### კითხები:

1. წყარო 1-ისა და 2-ის მიხედვით, რას შეისწავლის ფოლკლორისტიკა?
2. წყაროების 1-ის, 2-ისა და 3-ის მიხედვით, რა სახის ინფორმაციებს გვწვდის ფოლკლორული წყაროები და რა მნიშვნელობა აქვთ მათ ისტორიის შესასწავლად?
3. შენი აზრით, რა სირთულეებთან არის დაკავშირებული ფოლკლორული მასალების შეგროვება?
4. რომელი ჟანრის ნაწარმოებებს ვუწოდებთ ფოლკლორულს?

მკვლევარები მიუთითებენ, რომ ისტორიული წყაროების ცნობები ძველი ეპოქების შესახებ, მეტწილად, ზეპირულმოცემების საფუძველზე შექმნილი. მათ შორის, „ქართლის ცხოვრების“ არაერთი ცნობაც სწორედ ფოლკლორული ხასიათისაა.

### წყარო 4

„ეს დასაწყისი ჩვენ მატიანებში იმგვარივეა, როგორც უცხო ტომთა თქმულებები წარმოგვიდგენენ. ვეროპის განვითარებულ მეცნიერო შეუნიშნავთ, რომ არც ერთმა ტომმა არ იცის თავისი შთამომავლობა და ყველა მოთხოვობა პირველ საუკუნეებზე ზღაპარია. ეს ასეც უნდა იყოს. ყოველივე ამგვარი თქმულება დაფუძნებულია ზეპირსიტყვაობაზე...“

... უკაველია, რომ პირველ დროებათა მოვლენები გადმოცემის მიხედვითაა აღწერილი. ამას ამტკიცებს მატიანეთა შინაგანი ხასიათი: მათში მოთხოვიბილია დაუჯერებელ თვეგადასავლებზე, მებრძოლთა რიცხვი არ შესატყვისება ქვევნის მოსახლეობას და სფრცეს, არაბუნებრივია მოქმედ პირთა პირადი თვისებანი. მათი კითხვის დროს თქვენითქოს მითურ ხანაში გადადიხართ, მაგრამ თანდათან ზღაპრული ელფერი კლებულობს და ბოლოს თქვენ გრძნობთ, რომ მოკვდავთ გარემოში მოხვდით. ამის გამო არაა გასაკვირი, ახლა რომ წერენ თანამედროვეები: მითში გამოსახული ხასიათები და მოვლენები სინამდვილეს შესატყვისება, განსაკუთრებით მსხვილი ფაქტების გადმოცემისას“.

ღ. ბაქრაძე.

### კითხვები:

1. წყარო 4-ის მიხედვით, რატომ არის ისტორიის ძველი პერიოდების შესახებ ცნობები ფოლკლორული ხასიათის?
2. შენი აზრით, ახასიათებს თუ არა ფოლკლორულ გადმოცემებს ტენდენციურობა და რაში ვლინდება ეს?

„ქართლის ცხოვრების“ მიხედვით იძერის პირველი მეფე ფარნაგაზია, რომელმაც ეგრისის მმართველის ქუჯის დახმარებით დაამარცხა დამპყრობი აზო და საქართველო გაერთიანა. ამავე ცნობით, ჭაბუქება ფარნაგაზმა ნადირობისას განძს მიაგნო და სიძლიდრე მომზალი ბრძოლებისათვის ლაშქრის შეკრებასა და მის აღჭურვას მოახმარა.

### წყარო 5

„მაშინ იხილა ფარნაგაზ სიზმარი, იყო იგი სახლსა შინა უკაცურსა, და უგულვებოდა განსვლა და ვერ განვიდა. მაშინ შემოვიდა სარკმელსა მისასა შუქი მზისა და მოერტყა წელთა მისთა, და განიზიდა და განიყვანა სარკმელსა მას. და ვითარ განვიდა ველად, იხილა მზე ქუე-მდაბლად, მიპყო წელი მისი, მოჰქოცა ცუარი პირსა მზისასა და იცხო პირსა მისასა...“

ხოლო მას დღესა შინა განვიდა ფარნაგაზ და ნადირობიდა მარტო, და დევნა უყო ირემსა ველსა დიღომისასა... სტყორუცნა ისარი და პერა ირემსა... და დაეცა ძირსა კლდისასა. მფიდა ფარნაგაზ ირემსა ზედა... და დაჯდა ირემსა მის თანა, რათამცა დაყო ღამე და დიღეულმცა წარვიდა.

ხოლო კლდისა მის ძირსა ქუაბი იყო, რომლისა კარი აღმოქმნულ იყო ქვითა ძუელად... მაშინ დაასხა წვიმა მძაფრი. ხოლო ფარნაგაზ ამოიღო ჩუგლუგი და გამოარღვია კარი ქუაბისა მის... და იხილა განძი მიუწვდომელი, ოქრო და ვერცხლი...“.

„ქართლის ცხოვრებაში“ აღწერილი ამბავი, მკვლეფართა აზრით, ხალხური სიტყვიერების მოტივებზეა შედგენილი. ისტორიკოსი გიორგი ახვლედიანი ასეთ მოტივებად თვლის: სიზმრის ნახევს მოსალოდნელი დიდი მოვლენის წინ; სასწაულებრივი მზის სხივის გამოჩენას; მზის ცვრით მოკვდავის დაპკურებას; ნადირზე გადვნებას; დამით გამოქვაბულში დარჩენასა და განძის აღმოჩენას.

### წყარო 6

„ირემი მზიური ცხოველია, მზე და ირემი ერთმანეთს ენაცვლება სიზმარ-ცხადში... ის არსება, რომელიც ცაში მზედ იხილვება, დედამიწაზე რქაბორჯლალა ირმის სახით დადის...“

... ერთ ქართულ ზღაპარში ირმისთვის ნასროლი ტყვია მზეს ხედება; სხვაგან მზისკენ, მზის დედისაკენ მი-მავალი გზა ირმის რექბზე გადის; თამარის ციკლის ანდერშიმი: მზის სხივისაგან თამარი შობს ლაშას, რომელსაც ზრდის ირემი. ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ ჩვენს სიუჟეტში (ფარნაგაზის ნადირობის სცენა) ირემი თითქოს მზის გზას გაივლის. მზე და ირემი ერთად დაასრულებენ სრბოლას; როდესაც დაეცემა დაჭრილი ირემი, მაშინ ჩახდება მზეც: „და მცირედ წარვლო ირემან და დაეცა ძირსა კლდისასა. მფიდა ფარნაგაზ ირემსა ზედა და დღე იგი მწუხრი გარდახდა“.

ზ. კიკნაძე.

### დაგალება 1

გ. ახვლედიანის თვალსაზრისისა და წყარო 6-ის მიხედვით ფარნაგაზის შესახებ გადმოცემაში მიუთითე ფოლკლორული ელემტები.

„ქართლის ცხოვრების“ კრებულში შესულია XI ს-ის ისტორიკოსის — ჯუანშერის ნაშრომი „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა“. მაშინ გადმოცემულია სახელობანი ქართველი მეფის ვახტანგ გორგასლის ცხოვრება და სახელმწიფო ობრივი მოღვაწეობა. ამ თხზულების, როგორც ისტორიული წყაროს, მნიშვნელობას ვერავინ უარყოფს და მაინც, ისტორიკოსები თვლიან, რომ ვახტანგ გორგასლის მეფობის შესახებ ისტორიკოსის ზოგიერთი ცნობა ლეგენდარულია.

### წყარო 7

„ჯუანშერი ხუთ საუკუნეზე მეტით იყო დაშორებული ვახტანგ გორგასლის დროს. ამ დროისათვის მოვლენა-თა რეალურმა მსგლელობამ ცვლილება განიცადა... ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის სიმბოლოდ ქცეული გმირი — ვახტანგ გორგასალი და მასთან დაკავშირებული ისტორიული ამბები ლეგენდების საბურველში

გაქვთა, რომლებიც თაობიდან თაობას გადაეცემოდა. ამის გამო, ბუნებრივია, ჯუანშერი ისტორიული მოვლენების გადმოცემისას სხვა ისტორიულ წერილი გვერდით ხალხური მოთხოვების სიუჟეტებსაც დასესხებია...

ასეთი მოტივები (ბუმბერაზთა ბრძოლა შვიდ დღეს, გოლიათი გმირის გამოჩენა და უძლიერესი ვაჟაცის გამოწვევა, ორი დევეგმირის შებმა, ერთი მათგანის დამარცხება და ამის გამო მწუხარება) ჩვეულებრივია საგმირო შინაარსის ხალხური ნოველა-თქმულებებისათვის. მათი ელემენტები შემონახულია ამირანის, როსტომის, ბეჟანისა და მონადირეობის ციკლის ხალხურ მოთხოვებში. სახალხო მოქმედები ეპიკური სტილით აღწერუნ ბუმბერაზთა შერკინებას. ბრძოლის სცენები ჯუანშერს გაუმართავს ხალხური მოტივების მიხედვით“.

გ. აზვლედიანი.



## დაფალება 2

1. წყარო 8-ის მიხედვით იმსჯელე, რატომ სარგებლობდა ჯუანშერი ზეპირსიტეერი გადმოცემებით.
2. წყარო 8-ის მიხედვით მიუთითე ფოლკლორული ხასიათის ცნობები ვახტანგ გორგასლის მეფობაში. დაასაბუთე შენი მოსაზრება.

სურ. 1. ვახტანგ გორგასალი

## დამოუკიდებელი სამუშაო

გაიხსენე ან მოიძიე რომელიმე ხალხური თქმულება და იმსჯელე მასში გადმოცემული ამბიდან რა შეიძლება, ჩაითვალოს რეალურად. შეაფასე შენგან შერჩეული მასალის მნიშვნელობა ისტორიკოსისათვის. დაასაბუთე შინი მოსაზრება.

## §8. ისტორიული გეოგრაფია

ისტორიული გეოგრაფია ისტორიის დამხმარე დისციპლინაა. მისი მონაცემები მნიშვნელოვანია სახელმწიფოთა საზღვრების დადგენისათვის, ხალხის სამეურნეო ცხოვრების, ქვეყნებს შორის არსებული პოლიტიკური და საგაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების შესწავლისათვის.

### წყარო 1

„რა არის ისტორიული გეოგრაფია? — საზოგადოებრივი ცხოვრების ნაკვალევი ამა თუ იმ დროს, ამა თუ იმ მხარში. რა არის ისტორიული გეოგრაფიის საგანი? მისი ამოცანა? — წარმოსახოს კავშირი საზოგადოების ცხოვრების გარკვეულ საფეხურსა და ამ ნაკვალევს შორის ან უკთ, ამ ნაკვალევსა და მის შესაფერის საზოგადოებრივი ცხოვრების საფეხურს შორის. ეს დებულება გამოდის იქიდან, რომ ყოველ საფეხურს საზოგადოებრივი ცხოვრებისას თავისი გეოგრაფია აქვს, რომ ისტორიული გეოგრაფია ისტორიასთან ერთად იცვლება...“

... რა დროს რა ქვეყნებისაგან შედგებოდა საქართველო. ეს ქვეყნები ხომ მუდმივ ერთი და იგივე შინაარსისა, ან გეოგრაფიული მოცულობისა არ იყვნენ?... აი ამ ტერიტორიის — (ქვენის) შესწავლას ისახავს მიზნად ისტორიული გეოგრაფია...

შემოქმედების ყველა მომენტში ადამიანი ითვისებს (გარდაქმნის, უუება) გარკვეულ ბუნებრივ-გეოგრაფიულ არეს. ამ სარბიელზე მისი ესეთი მოქმედება ტოვებს მატერიალურ თუ სხვა სახის კვალს. ჩნდება ისტორიული გეოგრაფია. ქალაქი თუ ნაქალაქარი, დაბა თუ ნადაბური, სოფელი თუ ნასოფლარი, გორა თუ ლოდოვიანი, ბურჯ-კოშკი თუ გალავანი... და ადგილთა უთვალევი სახელი, ადამიანის მოქმედების შესახებ რომ მეტყველებენ — კულაფერი ეს ისტორიული გეოგრაფიის შინაარსს შეადგენს.

... ყოველ საზოგადოებას ყოველ დროში თავისი ისტორიული გეოგრაფია ახასიათებს. საზოგადოების განვითარებასთან ერთად იცვლება მისი ზემოქმედების სახეობაც ბუნებრივ-გეოგრაფიულ გარემოზე. ჩნდება ახალი ნაკვალევი ადამიანის მოქმედებისა, თანდათან იცვლება ისტორიული გეოგრაფია. ყოველ ხანას თავისი ისტორიული გეოგრაფია შეეფერება.

... ისტორიული გეოგრაფიის გათვალისწინება სრულიად აუცილებელია და ამის გარეშე ასეთი ეპოქის ცოდნა შეუძლებელია. ისტორიული გეოგრაფიის სურათის დადგენა საფუძველია იმისათვის, რომ ამა თუ იმ ხანის საზოგადოებრივი ცხოვრება რეალურ-ისტორიულად წარმოვიდგინოთ, ნამდვილ მეცნიერულად შევიცნოთ“.

ნ. ბერძენიშვილი.

## წერო 2

„ისტორიული გეოგრაფია მნიშვნელოვნად განსხვავდება სხვა ისტორიული დისციპლინებისაგან და რის გამოც იგი არ სებობს, როგორც ისტორიული მეცნიერების ერთ-ერთი დარგი, არის მისი შესწავლის საგანი — გარკვეული ტერიტორია, როგორც ცოცხალი ისტორიული ორგანიზმი“. დ. ნინიძე.

### კითხვები

1. წეაროების 1-ისა და 2-ის მიხედვით რა წარმოადგენს ისტორიული გეოგრაფიის კვლევის საგანს? რომელი საკითხების შესწავლას აქცევს ის განსაკუთრებულ კურადღებას?
2. შენა აზრით, რატომ არის აუცილებელი წარსულის შესწავლისას ისტორიული გეოგრაფიის მონაცემების გათვალისწინება?
3. როგორ ფიქრობ, რა განსხვავებაა გეოგრაფიასა და ისტორიულ გეოგრაფიას შორის?
4. წეარო 1-ის მიხედვით, დროთა განმავლობაში რა იწვევს ისტორიული გეოგრაფიის მონაცემების ცვალება-დობას? და რაში გამოიხატება ეს ცვლილებები?
5. როგორ გებმის ისტორიკოს დ. ნინიძის სიტყვები — „ტერიტორია — როგორც ცოცხალი ორგანიზმი“?

### ეს საინტერესოა:

ისტორიული გეოგრაფიის შესწავლის მნიშვნელობას ერთ-ერთმა პირველმა გახუშტი ბატონიშვილმა მიაქცია კურადღება. გახუშტი წერდა, რომ ისტორია იყოფა ოთხ ძირითად ნაწილად: „ადგილის აღწერა, ნათესავთა მეტყველება, წლის მრიცხველება და მოქმედების აღწერა“. გახუშტის „ადგილის აღწერაში“ არა მარტო ქვეყნის რელიეფი, ჰავა და ფიზიკური გეოგრაფიის სხვა საკითხებია გადმოცემული, არამედ აღწერილია მოსახლეობის საქმიანობა, ყოფა-ცხოვრება და ნაჩვენებია, თუ რა გავლენას ახდენს ყოველფერ ამაზე გეოგრაფიული გარემო, რამდენად უწყობს ის ხელს სოფლის მეურნეობის, ხელოსნობის და მეზობლებთან პოლიტიკური და კულტურული კავშირების განვითარებას.

მოგვიანებით, XIX-XX საუკუნეებში, ისტორიული გეოგრაფიის საკითხებს იკვლევდნენ: მარი ბროსე, მ. ჯანაშვილი, დ. ბაქრაძე, გ. წერეთელი, თ. უორდანია, ე. თაყაიშვილი, ს. კაკაბაძე. ისტორიული გეოგრაფიის, როგორც მეცნიერების დარგის შექმნისა და მისი განვითარების საქმეში განსაკუთრებით აღსანიშნავია, ფანჯ ჯავახიშვილის, ნიკო ბერძენიშვილის, ამჟამად მოღვაწე ისტორიკოსის — დავით მუსხელიშვილისა და სხვათა წვლილი.

წარსულის შესწავლისას ბევრ საინტერესო მოვლენას ვწყდებით ქვეყნებისა და იმპერიების ჩამოყალიბებას, სხვადასხვა კულტურების ურთიერთგავლენას, ახალი ქალაქების დაარსებასა თუ უკვე არსებულის დაცემა-განადგურებას, დღეისათვის დაცარიელებული პროგინციების ოდესალაც ეკონომიკურ და პოლიტიკურ ძლიერებას და ა.შ. ამ მოვლენების ახსნისა და შესწავლისათვის, ხშირ შემთხვევაში, აუცილებელი ხდება ისტორიული გეოგრაფიის მონაცემების გათვალისწინება.

შენ უკვე იცი, რომ თბილისის საქართველოს (ქართლის სამეფოს) დედაქალაქად გამოცხადება მეფე გახტანგ გორგასალს უკავშირდება. რა თქმა უნდა, გახსოვს ლეგენდაც თბილისის დაარსების შესახებ. მაგრამ, ალბათ, მცხეთიდან თბილისში დედაქალაქის გადმოტანის მიზეზებზე ფიქრისას არ ჯერდები მხოლოდ ლეგენდაში მოთხოვთ ამბავს და სვამ კითხვებს: მხოლოდ ცხელი წყლის არსებობამ განაპირობა თბილისის დაარსება? რომ არა გახტანგ გორგასალი და ნადირობისადმი მისი სიყვარული, იარსებებდა თუ არა თბილისი და იქნებოდა თუ არა ის საქართველოს დედაქალაქი? ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად გაეცანი ისტორიკოს დ. მუსხელიშვილის მოსაზრებას:

## წერო 3

„ვახტანგ გორგასალს სახელმწიფოს ცენტრი მცხეთიდან აღმოსავლეთით, თბილისში გადმოაქვს... ქართლის სამეფოს ტერიტორიის ზრდამ აღმოსავლეთისაკენ, აგრეთვე იმან, რომ თბილისი გეოგრაფიულად და ეკონომიკურად უფრო მჭიდროდ იყო დაკავშირებული კახეთ-ჰერეთთან, ვიდრე მცხეთა, მნიშვნელოვანწილად განაპირობა ის უაღრესად დიდი მნიშვნელობის ფაქტი, რომ ქართლის სამეფოს ცენტრმა მცხეთიდან თბილისში გადმოინაცვლა.“

მეორე მხრივ თბილისი... გაცილებით უფრო მოსახერხებელ ადგილზე იყო სტრატეგიული თვალსაზრისით. იგი, გარდა თავდაცვისათვის ხელსაყრელი მდებარეობისა, მტკვრის ვიწროებში, ქვეყნის შუაგულში იყო და ადვილად წვდებოდა არა მარტო აღმოსავლეთ პროგინციებს, არამედ სამხრეთისაც (ქვემო ქართლი), ჩრდილოეთსაც (შიდა ქართლი) და დასავლეთსაც (ზემო ქართლი, ეგრისი). გარდა ამისა, თბილისი, როგორც ვიცით, დიდი მნიშვნელობის მაგისტრალურ გზაჯვარედინზე მდებარეობდა და აკონტროლებდა არა მხოლოდ მცხეთას, არამედ ხუნანის პროგინციაზე მიმავალ გზას და იმ გზასაც, რომელზეც უჯარმა იყო. ამან განაპირობა ის ფაქტი, რომ უჯარმა არ გადაიქცა სახელმწიფოს ცენტრად“.

აუტორული აუდიოსამულობრივი სახელმწიფო ცენტრი

## დაფალება 1

წყარო 3-ის მიხედვით, იმსჯელე სამეფო ტახტის თბილისში გადმოტანის რეალურ მიზეზებზე და გამოყავი ისტორიული გეოგრაფიის საკითხები, რომლებმაც ეს მოვლენა განაპირობებს.

საქართველოს ისტორიიდან, ალბათ, განსოვს, რომ ერთ-ერთ უმსხვილეს საერისთავოს კლდეკარი წარმოადგენდა, რომელსაც სათავეში ბაღვაშთა საგვარეულო ედგა. კლდეკარის მფლობელები იმდენად გაძლიერდნენ, რომ ხანგრძლივ და სერიოზულ წინააღმდეგობას უწევდნენ საქართველოს მეფებს, მხოლოდ დავით აღმაშენებელმა მოახერხა ურჩი ერისთავის დამარცხება. საინტერესოა, რა გარემოებებმა განაპირობეს ბაღვაშთა ასეთი გაძლიერება?

## წყარო 4

„თრიალეთი აღმოსავლეთ საქართველოს გული იყო. კლდეკარი კი თრიალეთის გასაღები.“

მსხვილი და წვრილფეხა საქონელი და ხორბლეული — ესაა თრიალეთის სიმდიდრე. მაგრამ ეს არ იყო ის, რაც ასე ძვირფასად ხდიდა თრიალეთის, მიტაცების საგნად ჰყოფდა მას, ხოლო მიმტაცებელს ამდიდრებდა, აძლიერებდა.

ჯანსაღი ჰავა, უხვი დოკლათი თავისთავადაც დიდი სიკეთა, მაგრამ არა ნაკლები მნიშვნელობისაა ის, თუ სად, როგორ გეოგრაფიულ არეშია ეს სიკეთუ. თრიალეთი სწორედ ამით იყო განსაკუთრებულ ხელსაყრელ პირობებში. მანგლისის მხარესთან ერთად თრიალეთი მთელი აღმოსავლეთ საქართველოს გზაგასაყარი იყო. აქ გამოიყლიდა ყველაზე უძრავესი და უმნიშვნელოვანესი გზა ბიზანტიიდან — ქართლში (მცხეთში, თბილისში) კახეთში, სომხეთიდან — ქართლში, თრიალეთში შემოდიოდა ან კიდევ თრიალეთ-მანგლისზე გადიოდა გზები შიდა ქართლში...

ამ გზათა მიმართულებების გათვალისწინებით გასაგები ხდება თრიალეთის ეკონომიკური და პოლიტიკური მნიშვნელობა საქართველოს სხვა რაიონებისათვის. ხოლო თუ ამას დავუმატებთ იმ გარემოებასაც, რომ მანგლის-თრიალეთი ზეანია და სტრატეგიულად ბატონობს შიდა და ქვემო ქართლსა, ყველა ამ ხელსაყრელ გარემოებათა გათვალისწინებით გასაგები ხდება ის ძლიერება და პრეტენზიები, რომელსაც თრიალეთის მფლობელი ფურდალები (კლდეკარის პატრონები) იჩენენ X—XI საუკუნეთა სიგრძეზე...“.



სურ. 1. კლდეკარი

ნ. ბერძენიშვილი.

## დაფალება 2

წყარო 4-ის მიხედვით იმსჯელე კლდეკარის საერისთავოს გაძლიერების მიზეზებზე, გამოყავი პოლიტიკური და ბუნებრივ-გეოგრაფიული ფაქტორები და მიუთითე მათ მნიშვნელობაზე ამ პროცესში.

## დამოუკიდებელი სამუშაო

წერილობით გადმოუცი შენი ქალაქის, სოფლის ან კუთხის ისტორიულ-გეოგრაფიული დახასიათება; ისაუბრე მოსახლეობის სამეურნეო საქმიანობაზე, კულტურული თუ საგანმანათლებლო ცენტრების არსებობაზე, გზებისა და სარწყავი არხების გაყვანაზე, თავდაცვითი ნაგებობების აგებასა და რომელიმე შენთვის ცნობილ ისტორიულ მოვლენაზე.

## §9. რუკა, როგორც ისტორიის ფარო

რუკას მრავალგვარი დანიშნულება აქვს: მას ნებისმიერი მოგზაური და ტურისტი იყენებს ორიენტაციისათვის; რუკის საშუალებით გვიჩვენებს ბუნებრივი წიაღისეულის კერძებს გეოლოგი რუკაზე აღნიშნავს ქარის მიმართულებას, ეთნოგრაფი კი — ამა თუ იმ ხალხისა და ტომის საცხოვრებელს. წარსულზე საუბრისას რუკას ისტორიკოსიც ხშირად იყენებს.

დაზუსტებით არავინ იცის, ვინ გამოიგონა პირველად რუკა. ეს იმდენად დიდი ხნის წინ მოხდა, რომ თარიღის დადგენა შეუძლებელია.

კარტოგრაფია (გერმ. Karte – რუკა და ბერძნ. grapho – ვწერ) ანუ გეოგრაფიული რუკების შედგენის მეცნიერება დამწერლობაზე უფრო აღრე შეიქმნა პირველყოფილ საზოგადოებაში.

### ეს სინტერესოა:

მრავალი წლის წინ ამერიკაში, მდინარე კოლორადოსთან ერთი მოგზაური მივიდა. მან არ იცოდა, საით მიედინებოდა მდინარე და ამას რუკაზეც ვერ ნახავდა — მაშინ მდინარე კოლორადო ჯერ არ იყო რუკაზე აღნიშნული.

მდინარის ნაპირას მოგზაურმა ინდიელები დაინახა. სთხოვა მათ ეჩვენებინათ, საით მიემართებოდა მდინარე და რა შენაკადები ჰქონდა მას. ხანდაზმულმა ინდიელმა ჩაიმუხლა, ქვიშა ხელისგულით გადაასწორა და მასზე ისრის წერით გრძელი, დაკლაკნილი ხაზი გაავლო. უძველესი რუკები სწორედ ასეთი იყო — ქვიშაზე დახატული. მათ ისრის წვერით, წვეტიანი ჯოხით, ანდა პირდაპირ თითოთ ხატავდნენ.

მაგრამ ქვიშის რუკა სანდო არ არის — დაუბერჯვს ქარი ან გაწვიმდება და რუკაც წაიშლება. რაც მთავარია, შეუძლებელია მისი ტარება და ამდენად, მონადირებისა და მოგზაურებისათვის გამოუსადგარი იყო. და, დაიწევეს რუკის ხატვა ხის ქერქზე. ესკიმოსებში ბოლო დრომდე იყო შემორჩენილი ფიცარზე რუკის დახატვის ტრადიცია. ასეთი რუკა ესკიმოსთა თითქმის ყოველ კარავში ეკიდა.

იტალიაში, კამონიკის ველზე შემონახულია ბრინჯაოს ხანის რუკა კლდეზე შესრულებული ნახატების სახით.

თიხის რუკების შედგენის ოსტატები იყვნენ ძველი ბაბილონელები. ლონდონისა და ვეროპის სხვა ქალაქების მუზეუმებში არაერთი ისეთი რუკა ინახება, რომლის ასაკი სამი ათას წელს აღემატება.


მას შემდეგ კი, რაც ძირითად საწერ მასალად ჰერგამენტი იქცა, რუკებს ხბოს დამუშავებულ ტყავზე ხატავდნენ.

რუკის შედგენა დღესაც, ტექნიკური პროგრესის ეპოქაში, შრომატევადი საქმეა, მით უფრო დიდ სირთულეებთან იყო დაკავშირებული კარტოგრაფების მუშაობა ძველად. რუკის შესადგენად მარტო გეოგრაფიის ცოდნა არ იყო საკმარისი. შემდგენელი კარგი მხატვრიც უნდა ყოფილიყო, რადგან, როგორც წიგნები იქმნებოდა ხელნაწერის სახით, ასევე რუკებიც, ხელით იხატებოდა. ამიტომაც რუკა ძალიან ძვირდა. ის ხელოვნების ისეთივე ნიმუში იყო, როგორიც მხატვრული ტილო. შეძლებული ადამიანები სპეციალურად უკეთადნენ რუკებს მხატვარ-კარტოგრაფებს, მათთან ათასწებდნენ რუკის მხატვრული გაფორმების საშუალებებს და საკუთარი განათლების, კულტურის, ქონებრივი და წოდებრივი უპირატესობის ხაზგასასმელად, ძვირფას ჩამორჩინების აღმიერებით დამშვენებულ რუკას სასახლის ცენტრალური დარბაზის კედელზე ჰკიდებდნენ.

რუკა მრავალმხრივ ინფორმაციას გვაწვდის წარსულის შესახებ. მისი მეშვეობით ვგებულობთ, თუ რომელი და რამდენი დიდი ქალაქი არსებობდა დედამიწის ამა თუ იმ კუთხეში და როგორ იცვლებოდა მათი რაოდენობა ეპოქების მიხედვით. რუკა ზუსტ წარმოდგენას გვიქმნის საყაზრო გზების არსებობაზე, ხელოსნობისა და სოფლის მეურნეობის ძირითად კერძებზე, თავდაცვითი ნაგებობების რაოდენობასა და მათ განლაგებაზე, საეკლესიო ცენტრებზე, საომარ მოქმედებებზე, ქვეყნის შიგნით განვითარებულ მნიშვნელოვან პოლიტიკურ პროცესებსა და სახელმწიფოთა გეოპოლიტიკურ მდგომარეობაზე.



სურ. 1. ცნობილი კარტოგრაფი ჰერკატორი (მარცხნივ) და მუშავე ჟილი ჰონდიუსი (მარცხნივ) მეცნიერებების მუზეუმებში არაერთი ინსტანციის მიერ გამოიყენება.




რუपა, როგორც ისტორიის წყარო

सार्वजनिक उद्योग IX सार्वजनिक

मुक्त 2. सार्वजनिक उद्योग IX सार्वजनिक

18



რუსული რეზიუმე ტექსტის წარადგინება  
Presentation of the basin's electronic resources

შედეგი 1:200,000

**კითხვები:**

დააკვირდი IX და X საუკუნეების საქართველოს პოლიტიკურ რუკებს და უპასუხე შემდეგ კითხვებს:

1. როგორი იყო IX საუკუნის აფხაზ მეფეთა პოლიტიკური პოზიცია შიდა ქართლის მიმართ, რა გეგმა ჰქონდათ მათ და რამდენად შეძლეს ამ გეგმების განხორციელება?

2. რა ცვლილებები განიცადა თბილისის საამიროში?

3. რომელი პოლიტიკური ერთეულებისაგან შედგებოდა IX-X საუკუნეების საქართველო და რა ცვლილებები განიცადა მან ამ პერიოდში?

4. როგორ დაახსიათებ არაბთა სახალიფოს პოზიციას საქართველოს მიმართ და რა შედეგები მოიტანა ამან საქართველოსთვის?

5. რომელი სახელმწიფოები გვემეზობლებოდა IX საუკუნეში და რომელი — X-ში. რა ცვლილებები განიცადა საქართველოს გარემომცველმა სახელმწიფომ ისტორიის ამ მონაკვეთში? რა მნიშვნელობა ჰქონდა ამ ცვლილებებს საქართველოსთვის.


**დავალება 1**

1. იმსჯელე IX-X საუკუნეთა მიჯნაზე საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე, ქვენის სამეურნეო და კულტურულ განვითარებაზე.

2. მიუთითე საქართველოს განვითარების ხელისშემშლელ საშინაო და საგარეო ფაქტორებზე, იმსჯელე მათ მნიშვნელობასა და მათი დაძლევის საგარაუდო შესაძლებლობებზე.

ძველად ადამიანების გეოგრაფიული თვალსაწიერი მეტისმეტად შეზღუდული იყო. თვით საუკეთესო გეოგრაფებმა, ისტორიკოსებმა და სახელოვანმა მოგზაურებმაც კი არ იცოდნენ ბევრი ისეთი რამ, რისი არცოდნაც დღეს ჩვენთვის წარმოუდგენელია. ალბათ, გაგიკვირდება, შენმა რომელიმე თანაკლასელმა რომ არ იცოდეს, სად არის ავსტრალია ან ანტარქტიდა. არადა, სულ რამდენიმე საუკუნეა, რაც მეცნიერთათვის ამ კონტინენტების არსებობა გახდა ცნობილი.

ძველი რუკები, მათი ხარვეზების მიუხედავად, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისტორიკოსებისათვის. მათში ბევრი ისეთი ქვეყანა თუ ქალაქია აღნიშნული, რომლებსაც ჩვენამდე არ მოუღწევია; მითიუბულია უძველესი ტომებისა და ხალხების განსახლების ადგილები ან სხვა ტერიტორიებზე მათი გადასახლების მარშრუტები. ძველი რუკები იმითაცაა საინტერესო, რომ გვისურათებს ამა თუ იმ ეპოქის საზოგადოების კულტურის დონეს, განათლებისა და მეცნიერული ცოდნის გავრცელება-განვითარების მასშტაბებსა და ხარისხს, მათი შედარება კი ერთ-ერთი საუკეთესო გზაა იმის გასაგებად, თუ როგორ იცვლებოდა საუკუნეთა განმავლობაში ადამიანთა წამოდგენები გარემომცველი სამყაროს მიმართ.




სურ. 4. რუკა პტოლემეს მიხედვით, II საუკუნე.

**დავალება 2**

1. სურ. 4-ის მიხედვით იმსჯელე ანტიკური პერიოდის სწორულთა წარმოდგენებზე სამყაროს შესახებ. ჩამოთვალე შენთვის ცნობილი კონტინენტები, ოკეანები, ზღვები და კუნძულები და შევსე იმდროინდელი რუკების მონაცემები.

2. გაიხსენე დიდი გეოგრაფიული აღმოჩენები მიუთითე მათ მნიშვნელობაზე მეცნიერული ცოდნის გაფართოების საქმეში.

3. დააკვირდი სურა. 4-ს და იმსჯელე თუ რა შეიცვლა ადამიანთა გეოგრაფიულ წარმოდგენებში ძველი დროიდან დღემდე.



## დამატებითი მასალა

### ძველი საბერძნეთის ეპოქა

ძველი ბერძენი ფილოსოფოსები (მილეთის სკოლა, ძვ.წ. VI ს.) დედამიწას დისკს, ოთკუთხედის ან ცილინდის ფორმით განიხილავდნენ. ძვ.წ. IV საუკუნეში გავრცელება დაიწყო სწავლებამ დედამიწის მრგვალი ფორმის შესახებ. გაჩნდა პირველი ცოდნა კლიმატურ ზონებსა და გეოგრაფიულ განედებზე. დაახლოებით 250 წ. ჩვენს ერამდე ერატოსფენმა გეომეტრიული მოწყობილობის საშუალებით განსაზღვრა დედამიწის რადიუსი 15%-იანი ცდომილებით. მანვე შემოიტანა გრძედებისა და განედების ხაზები რუკაზე. გიპარხმა განავითარა სწავლება გრძედისა და განედის შესახებ და შეიმუშავა პირველი კარტოგრაფიული პროექციები. გიპარხის მეთოდისა და ცნობების საფუძველზე პტოლემაიოსმა (II ს.) შეადგინა სხვადასხვა წერტილების კოორდინატების ცნობარი და რუკების შედგენის სახელმძღვანელო. პტოლემაიოსმა მონაცემების მიხედვით რუკების აქტიურად შექმნა დაიწყეს ბიზანტიელებმა XIII – XIV საუკუნეებში. პტოლემაიოსის ნაშრომები ძველბერძნული კარტოგრაფიის მწვერვალად ითვლება.

### შუა საუკუნეების ეპოქა

1154 წ. არაბმა გეოგრაფმა და მოგზაურმა ალ-იდრისმა შეადგინა იმდროინდელი მსოფლიოს საექსპორტო ზუსტი რუკა. მაგრამ ალ-იდრისის რუკის საინტერესო თავისებურება, ისევე, როგორც არაბების მიერ შედგენილი სსვა რუკებისა, იყო ის, რომ სამხრეთი გამოსახული იყო რუკის ზედა მხარეს. (ალ-იდრისი)

XIII-XIV სს. კვრიპული კარტოგრაფიისათვის რეფოლუციური მნიშვნელობა პქნონდა მაგნიტური კომპასის გამოყენებას. გაჩნდა რუკების ახალი ტიპი — პორტოლანის (პორტულანი) ზუსტი კომპასური რუკები. (კომპასი — ინტ.)

### აღორძინების ხანა და ახალი ერა

XIV საუკუნის შუა პერიოდიდან იწყება დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების ეპოქა, რამაც განაპირობა ინტერესის გაძლიერება კარტოგრაფიის მიმართ. კარტოგრაფიაში კოლუმბამდელი პერიოდის მნიშვნელოვანი მონაპოვარი იყო ფრა მაურის რუკა (1459 წ.) და პირველი გლობუსი, შექმნილი გერმანელი გეოგრაფის მარტინ ბეპაიმის მიერ. გლობუსი

შემდგენ რევოლუცია კარტოგრაფიაში გამოიწვია გერმანდ მერკატორისა და აბრაჰამ ორტელიუსის მიერ დედამიწის პირველი ატლასების შექმნამ.

მერკატორი ითვლება კარტოგრაფიის, როგორც მეცნიერების, შემქმნელად.

პირველი ტოპოგრაფიული რუკები გადაღებული იყო XVIII საუკუნეში საფრანგეთში.

მხოლოდ XIX საუკუნეში დაიწყო ზუსტი ინსტრუმენტული გადაღება დიდ სფრცეებზე და სხვადასხვა სახელმწიფოს დიდმასმტაბიანი ნამდვილი ტოპოგრაფიული რუკების შედგენა და გამოცემა.

XX საუკუნის დასაწყისში სახელმწიფოების მცირებასმტაბიანი ტოპოგრაფიული რუკების გადაღება ჯერ კიდვე არ იყო დასრულებული. ამ პროცესის დასრულება მხოლოდ XX საუკუნის შუა წლებში გახდა შესაძლებელი.

### განმარტებები:

1. კარტოგრაფი — ????????????????????????????????????
3. გეოპოლიტიკური მდგომარეობა — ????????????????????????????????????



სურ. 5. მარტინ ბერტამის გლობუსი



## §10. ნუმიზმატიკა

### ა) მონეტების ისტორია

საზოგადოების განვითარების ადრეულ ეტაპზე აღებ-მიცემობას ნატურალურ-გაცვლით ხასიათი ჰქონდა ანუ ფულის მაგივრობას სხვადასხვა საქონელი სწევდა — საომარი თუ საწარმოო იარაღი, პირუტყვი, ძვირფასი ბწვეული, ტყვია და სხვა. მაგალითად, ძველ საბერძნეთში სიტყვა „პეცუნია“ ერთდროულად ფულსაც ნიშნავდა და პირუტყვსაც. ძველი ქართული ტერმინი „ხვასტაგი“ (ხვადაგი) — ფულს, დოვლას და რქოსან პირუტყვსაც აღნიშნავდა. მეცნიერების აზრით, ძველ ქართულ მონეტებზე გამოსახული ხარის თავი მხოლოდ იმდროინდელ რელიგიურ წარმოდგენებს არ ასახავდა, ის უძველესი აღებ-მიცემობის წესის ნაკალევიცა.

მოგვიანებით, საქონლის ღირებულებას ძვირფასი ლითონები შეუფარდეს. იხდიდნენ სხვადასხვა ლი-თონის ზოდებით ან მათგან დაშადებული ნივთებით გვიპტემი — ოქროს ბეჭდებით, ძველ სპარტაში — რკინის წკეპლებით, საქართველოში — ბრინჯაოს სამაჯურებით, რომელთაც „კავკასიურ სიკილებს“ უწოდებდნენ, რუსეთში — ვერცხლის ზოდებით — „გროვნებით“.

დროთა განმავლობაში ლითონის ნივთები მონეტებმა შეცვალა. მონეტები, რა თქმა უნდა, გაცილებით ადვილი მოსახმარი იყო.

პირველ მონეტებს მეცნიერები დაახლოებით ძვ.წ. VII საუკუნით ათარილებენ და მისი დაბადების ადგილად ხმელთაშუა ზღვისა და შავი ზღვის მიმდებარე ტერიტორიას მიიჩნევნ, როგორც ჩანს, საქართველოც არ დარჩენილა მოვლენათა მიღმა — ძვ.წ. VI საუკუნეში პირველი ქართული მონეტა „კოლხური თეთრი“ მოიჭრა.

„კოლხური თეთრი“ მხატვრული გაფორმებით არ ჩამოუგარდებოდა იმდროინდელ ნუმიზმატიკურ ნიმუშებს, ყველაზე ახლოს კი მიღებულ მონეტებთან იდგა. რადგან, ძირითადად, მიღებულია ახალშენში, ქალაქ ფაზისში იჭრებოდა. კოლხური თეთრი დიდი რაოდენობითაა ნაპოვნი დასავლეთ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. რამდენიმე ნიმუში ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთშიც, ყოფილი ბერძნული კოლონიების ადგილას არის აღმოჩენილი.



სურ. 1. კოლხური თეთრი

#### ეს საინტერესოა:

- ❖ ძველ ქართულში მონეტის აღსანიშნავად სიტყვა „საფასე“ იხმარებოდა.
- ❖ სიტყვა „მონეტა“ ქალთა მფარველი ღვთაების — იუნონას სახელს უკავშირდება და მისი მისი ერთ-ერთი ეპითეტი იყო („მონეტა“ — ლათ. — გამაფრთხილებელი, მრჩეველი). ძველ საბერძნეთში კაპიტოლიუმის ბორცვზე, იუნონას ტაძარში ზარაფხანა იყო გახსნილი. იქ მოჰკილ ფულს იუნონას საპატიოცებულოდ მონეტა უწოდეს.
- ❖ უძველეს ბერძნულ მონეტებზე გამოსახულება მხოლოდ ერთ მხარეზე იყო ამოტვიფრული.
- ❖ დროთა განმავლობაში სამონეტო საქმე საბერძნეთში იმდენად დაიხვდნა, რომ ხელოვნების დარგად იქცა. საქვეყნოდ გაითქვეს სახელი სამონეტო საქმის სიცილიელმა ოსტატებმა — ვენეტმა, კომონმა, ვეკლიდემ და არისტოქრატებმა. მათ მიერ მონეტებზე შესრულებული გამოსახულებებით აღფრთვანებული იყო დიდი იტალიელი მხატვარი და მოქანდაკე მიქელანჯელო. გოეთეს სიტყვებით კი — „ეს შესანიშნავი მონეტები წარმოადგენს ყვაილების დაუსრულებელ გაზაფხულს და ნაყოფს ხელოვნებისას“.
- ❖ ძველი მონეტების შეგროვებით გატაცება რენესანსის დროს დაიწყო. პირველი ცნობილი კოლექციონერი პოლტი პეტრარკა იყო. ანტიკურ მონეტებს აგროვებდნენ ფლორენციელი მეცნატი კოზიმო მედიჩი, ვეროპელი მონარქები მაქსიმილიან I, პაინრიხ IV ლუი XIV.



მონეტის დამახასიათებელი ნიშნებია: ფორმა, ზომა, წონა, წარწერა და მხატვრული გამოსახულება. მონეტის წინა მხარეს შუბლს ანუ ავერსს უწოდებენ, ხოლო უკანა მხარეს — ზურგს ანუ რვერსს. ავერსს და რვერსს განსხვავებული ფუნქციები აქვთ; მონეტის შუბლზე თვესდება გამოსახულება — ღვთაება, მონარქი, რესპუბლიკის სიმბოლო და ა.შ.,

რაც ამ მონეტას აკანონებს და იძლევა მისი ნამდვილობის გარანტიას. ზურგის მხარეს კი უფრო მარტივი, ადგილად მისახვედრი გამოსახულება, რომელიც მონეტის მოჭრის ადგილს მიგვანიშნებს. მონეტაზე მოთავსებულ წარწერებს „ლეგენდა“ ან „ზედწერილი“ ჰქვია.

დათარიღების თვალსაზრისით მონეტებს სხადასხვა ტიპებად ყოფენ. მონეტას, რომელზედაც მისი მოჭრის დროა აღნიშნული, „პირდაპირს“ უწოდებენ; თუ მონეტაზე მმართველის ტახტზე ასვლის ან სხვა რომელიმე მნიშვნელოვანი თარიღია მოცემული, მას „ინიციალური“ ეწოდება; თუ მონეტა რაიმე მნიშვნელოვან ფაქტს მიუთითებს, მაგრამ თარიღის არ ასახელებს, ის „არაპირდაპირია“; მონეტას კი, რომელზეც მხოლოდ გამოსახულებებია მოცემული, „მუნჯს“ უწოდებენ.

### კითხვები:

1. შენი აზრით, რატომ ენიჭებოდა სხვადასხვა საქონელს საფრთხო ღირებულება?
2. როგორ ფიქრობ, რატომ დამკვიდრდა ქართულ აღებ-მიცემობაში „ხვასტაგი“?
3. შენი აზრით, ფულმა (მონეტამ, ქაღალდის ბანკოტმა) სამუდამოდ დაიმკვიდრა ადგილი ადამიანის ცხოვრებაში თუ მოსალოდნელია მისი შეცვლა? როგორ წარმოგიდებენია ფული მაგ., 50 ან 100 წლის შემდეგ?
4. როგორ ფიქრობ, ისტორიკოსისათვის რომელი მონეტაა განსაკუთრებულად ღირებული?

მონეტის მოჭრა სახელმწიფო პრეროგატივა და მას სახელმწიფო რეგალია ეწოდება. ადგილობრივი ფულის არსებობის ფაქტს ისტორიკოსები სახელმწიფოს არსებობის დამაღასტურებელ საბუთად მიიჩნევენ. ფულს საქართველოშიც ცენტრალური ხელისუფლება — სამეფო კარი, ჭრილა. თუმცა ნაპოვნი მონეტებით დასტურდება, რომ საქართველოში ფულს ჭრილნენ ადგილობრივი დიდგვაროვნებიც: სამეგრელოს მთავარი დადიანი (XIV), მესხეთის ათაბაგი (XV ს.) და სხვა.

საქართველოს ისტორიის მუზეუმებში დაცულია საქართველოს ტერიტორიაზე ქართულ ფულთან ერთად ნაპოვნი არაერთი უცხოური მონეტა:

1. ბერძნული და ელინისტური ოქროს ვერცხლისა და სპილენძის მონეტები (ძვ. წ. V—II ს.).
2. პართული დრაქმები — ძვ. წ ის II- ახ. წ. II ს.
3. რომაული მონეტები — ძვ.წ. I ახ.წ. — III-IV სს.
4. სასანური დრამები — III-VII სს.
5. არაბული დრამები — III-VII სს.
6. ბიზანტიური მონეტები — V-XII სს.
7. სელჯუკური, ილდიგიზური, შარვანული მონეტები — XII-XIII სს.
8. ტრაპიზონული ასპერუბი — XIII-XIV სს.
9. ვრობული მონეტები — XVI-XVIII სს.
10. ირანული და თურქული მონეტები — XVI-XVIII სს.
11. რუსული მონეტები — XVIII-XIX სს.



ზოგიერთი უცხოური მონეტა იმდენად ფართოდ გამოიყენებოდა საქართველოში და ისე „გაშინაურდა“, რომ მას უშუალოდ საქართველოშიც კი ჭრილნენ, მაგალითად, კეისრის დინარებს, გოტარზეს პართულის დრამებს.

როგორც იცი, საქართველოს საკუთარი წელთაღრიცხვის სისტემა (ქორონიკონი) ჰქონდა, რომელ-საც ასომთავრული ნიშნებით გამოსატავდნენ. მონეტის მოჭრის უძველესი ტრადიციის მიუხედავად, ქართულ მონეტაზე ქორონიკონის ასახვა პირველად მხოლოდ XII საუკუნეში გვხვდება, მაშინ როდესაც უკვე VIII საუკუნიდან ქართული მონეტები მუსლიმანური „პიჯრით“ თარიღდება. იშვიათად გვხვდება მხოლოდ ქართულწარწერიანი მონეტები. მათზე, როგორც წესი, ქართულის გვერდით არაბულ, ირანულ ან თურქულ წარწერებს ვხვდებით.

ქართული მონეტის წარწერებში, უმეტეს შემთხვევაში, ქართველი მეფის სახელს წინ უძღვის ან მოსეევს ხალიფის, სულთნისა და შაპის სახელები.

**კითხვები:**

1. როგორ ფიქრობ, ცენტრალური ხელისუფლების არსებობის დროს, რითი შეიძლება აიხსნას ადგილობრივი ფეოდალების მიერ საკუთარი მოჭრა? აირჩიე ტექსტის მიხედვით სწორი პასუხი და დაასაბუთე შენი არჩევანი ან გამოთქვი ორიგინალური მოსაზრება.

ა) ქვეყნის შიგნით გაცხოველებული ვაჭრობაა, ქართული ფულის გაუფასურებისაგან დასაცავად სამეფო კარის მითიოებით საფეოდალოებშიც იჭრება ადგილობრივი მონეტები.

ბ) ქვეყანა გაცხოველებულ საგარეო ვაჭრობას აწარმოებს, ფეოდალები ზრუნავენ საკუთარი სამფლობელოების ეკონომიკურ აღმავლობაზე, იცავენ ადგილობრივი ვაჭრების ინტერესებს და ამ მიზნით ჭრიან საკუთარ ფულს.

ც) სამეფო ხელისუფლება შესუსტდა, ფეოდალები მონეტის მოჭრით ხაზს უსვამენ საკუთარ დამოუკიდებლობას.

დ) სამეფო ხელისუფლების შესუსტების მიზნით ფეოდალები აფერხებენ ქვეყანაში ვაჭრობის განვითარებას. ჭრიან საკუთარ მონეტას და ხმარებიდან იღებენ სახელმწიფო ფულს.

2. შენი აზრით, რით იყო გამოწვეული აღმოსავლური წელთაღრიცხვისა და უცხოენოვანი წარწერების სიჭარბე ქართულ მონეტებზე?

3. მონეტების შესახებ მოცემული ინფორმაციის საფუძველზე დაახასიათე ქართული სახელმწიფოს პოლიტიკური მდგომარეობა ისტორიის სხვადსხვა პერიოდების გათვალისწინებით.

**დამოუკიდებელი სამუშაო**

აღმოჩენილია ძველი მემორიალური ანუ სამახსოვრო მონეტები, რომლებიც განსაკუთრებული მოვლენის აღსანიშნავად მოუჭრიათ, და დონატიური — წარჩინებულთა ვიწრო წრისათვის განკუთვნილი საგანგებო სასაჩუქრე მონეტები.

გაიხსენე ან მოიძიე ინფორმაცია, ყოფილა თუ არა შემთხვევა ჩვენი თანამედროვე ფულის — ლარის საიუბილეო გამოცემისა. მიუთითე, რა ღირებულებისა იყო მონეტები და რომელ თარიღს უკავშირდებოდა მათი მოჭრა.

**ბ) რას შეისწავლის ნუმიზმატიკა**

„ნომიზმა“ ბერძნული სიტყვაა და ფულს ანუ კანონიერი ანგარიშეწორების საშუალებას ნიშნავს. ნუმიზმატიკა კი, როგორც დამხმარე ისტორიული დისციპლინა, ძველ მონეტებს შეისწავლის.

**წეარო 1**

„ძველი მონეტების მეცნიერულ შესწავლას დიდი მნიშვნელობა აქვს ამა თუ იმ ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურის ისტორიის საკითხების გასაშუქრებლად. ამ ცვეთის ლითონის ნაჭრებს სპეციალისტის ხელში „ამეტყველება“ და წარსულის მთელ რიგ საკითხებში გარევეულობის შეტანა შეუძლია... მონეტის მოჭრა სახელმწიფო კომპეტენციაა. ამდენად მონეტა სახემწიფოებრივი მნიშვნელობის მქონე საბუთია. მართალია ძურწიფორმებში, მაგრამ ობიექტურად ასახავს ამა თუ იმ ისტორიულ მოვლენას, რამდენადაც დაზღვეულია ავტორის სუბიექტური შეხედულებებისა და ტენდენციისაგან.“

გ. დუნდუა.

**კითხვები**

შენი აზრით, ისტორიკოსისათვის რა ღირებულ ინფორმაციას შეიძლება შეიცავდეს მონეტა?

რამდენად ეთანხმები წეარო 1-ში გამოთქმულ მოსაზრებას, რომ მონეტა ობიექტურად ასახავს ამა თუ იმ ისტორიულ მოვლენას. დაასაბუთე შენი მოსაზრება

მონეტები უდიდეს დახმარებას უწევენ არქეოლოგიას. სამაროვნების გათხრებისას მონეტების აღმოჩენა საკმაოდ ხშირია და მათი საშუალებით არაერთხელ გამხდარა შესაძლებელი არქეოლოგიური კომპლექსების ზუსტი დათარიღება.

ათენის ზარაფხანაში მოჭრილ ერთ-ერთ ძველბერძნულ მონეტაზე გამოსახულია დიონისეს თეატრი აკროპოლისის ფონზე. არქეოლოგებისათვის, რომლებიც აკროპოლისის ბორცვს იკვლევდნენ, მონეტაზე ამოტვიფრულმა გამოსახულებამ რუკის როლი ითამაშა, სწორედ მისი საშუალებით განსაზღვრუს, სად უნდა ყოფილიყო დიონისეს თეატრი და ანტიკური კულტურის ეს უმშვენიერესი ძეგლი აღმოაჩინეს კიდეც.



სურ. 2. გიორგი III-ს მონეტა. 1156-1184

### ეს საინტერესოა:

აღმოსავლურ მონეტებზე სარწმუნოებრივი შინაარსის გამოსახულებები არ არის გამოხატული, მთელი ყურადღება „ლუგენდას“ (ზედწერილს) ეთმობოდა. ამის გამო ყოველი მონეტა საკმაოდ ვრცელ ინფორმაციას შეიცავს. მაგალითად, არაბული მონეტები გვაუწყებენ მმართველის სახელს, მმართველის მამის სახელს, მმართველის ტიტულს, მმართველის ერთ-ერთი ვეზირის სახელს, მმართველობის ერთ-ერთ წელს და სამეფოს ერთ-ერთი ქალაქის სახელს, გარდა ამისა არაბულ მონეტებზე ამოტიფრული იყო ლოცვის ნაწყვეტი, რაც ცხადყოფდა, თუ რომელ რელიგიურ მიმდინარეობას ეკუთვნოდა მითითებული პირი.

მეცნიერებს მონეტის გამოსახულებები მრავალგვარ დახმარებას უწევს. ზოგჯერ მონეტებზე ხელოვნების ისე-ეთი ნიმუშებია გამოსახული, რომლებსაც ჩვენამდე არ მოუღწევიათ. მაგალითად, ძვ.წ. V საუკუნის დიდი ბერძენი არქიტექტორის ფიდიასის ქმნილების — ოლიმპიელი ზევსის ქანდაკების რეკონსტრუქციის დროს სპეციალისტებისათვის ყველაზე მნიშვნელოვან წყაროს რომაელი იმპერატორის აღრიანეს მიერ მოჭრილი მონეტები წარმოადგენდა.

### ეს საინტერესოა:

ლუკირის მუზეუმში დაცულია გამარჯვების ქალღმერთის ნიკეს ქანდაკება. არავინ იცოდა რომელ პერიოდს ეკუთვნოდა იგი მანამ, სანამ მაკედონიის მეფის დემეტრე პოლიორკეტის (ძვ.წ. IVს.) მონეტა არ იქნა აღმოჩენილი. მონეტაზე გამოსახული გემის ცხვირზე მდგომი ნიკე აბსოლუტურად იდენტური იყო ლუკირის ქანდაკებისა. ცხადი გახდა, რომ ნიკეს ქანდაკება მემორიალური ხასიათისაა და მიეძღვნა სალამინის ბრძოლაში ეგვიპტის მეფე პტოლემაიოს I-თან დემეტრეს გამარჯვებას, ეს საბრძოლო ეპიზოდი ყველასათვის კარგად იყო ცნობილი, მაგრამ არავის მოსდიოდა აზრად მისი ქანდაკებასთან დაკავშირდა.

მონეტებს ხშირად ღვთაებათა გამოსახულებებიც ამშვენებდა. ბიჭვინთის არქეოლოგიური გათხრებისას აღმოაჩინეს II-III სს. ტრაპეზუნტში მოჭრილი დაახლოებით 280 მონეტა. ამათგან, დაახლოებით 180 მონეტაზე მხისა და სინათლის ღვთაება მითრაა გამოსახული. დანარჩენებზე ამოტიფრულია დიონისე, აპოლონი, ჰერმესი, ჰერაკლე და რეა.



### წყარო 2

„მითრას კულტი ფართოდ იყო გურცელებული ძველ საქართველოში. ქართულ წარმართულ პანთეონში მითრას სადღესასწაულო თვეედ თებერვალი ითვლებოდა. გარდა ამისა საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილია ძვირფასი ქვები, რომლებზედაც აბსოლუტურად იდენტური მითრა-მზედარია გამოსახული, როგორც ტრაპეზუნტის მონეტებზე“.

გ. თოდუა.

„ტრაპეზუნტი ხალხმრავალი ელინური ქალაქია პონტოს სანაპიროზე, სინოპეს კოლონია კოლხების ქვეყანაში“  
ქსენეფონტე, ბერძენი ისტორიკოსი.

„(ტრაპეზუნტში) სამსხვერპლოებია აღმართული, მაგრამ ხორკლიანი ქვისაგან და ასოები ვერაა ნათლად ამოკვეთილი, ხოლო ბერძნული წარწერა შეცდომებითაც კია შედგენილი, რადგან ბარბაროსების მიერაა დაწერილი... შენი ქანდაკება დგას აქ... ქანდაკება არაა შენი მსგავსი და არც სხვა მხრივა კარგი. აქევე აშენებულია ოთხკუთხა ქვებით ტაძარი. არაა ცუდი, მაგრამ ჰერმესის ქანდაკება არ შეეფერება არც ტაძარს, არც ამ აღილს“.

რომაელი მოხელის არიანეს წერილი იმპერატორ აღრიანესადმი (II ს.).

### დაგალება 1

1. მკვლევართა ნაწილი მიიჩნევს, რომ ტრაპეზუნტის მოსახლეობის ძირითად ნაწილს ქართველები წარმოადგენდნენ და რომ არიანე ბარბაროსების სწორედ მათ უწოდებს. ზოგი მეცნიერი კი ტრაპეზუნტის მოსახლეობას ბერძენ მოახალშენებად თვლის. წყარო 2-ის მიხედვით დაადასტურე ან უარყავი ეს მოსახლეება.

2. ტექსტის, წყაროებისა და რუბრიკა „ეს საინტერესოას“ მიხედვით იმსჯელე, მეცნიერების რომელი დარგებისთვისაა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ნუმიზმატური მონაცემები?

### წყარო 3

„მონეტა პოლიტიკური ინფორმაციის პირველხარისხოვანი წყაროა. ხშირ შემთხვევაში მასზე მოთავსებული წარწერები ისეთ ცნობებს შეიცავს, რაც მატიანებში დაცული არ არის. ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში იგი სათანადოდ აზუსტებს და ავსებს კიდეც წერილობითი წყაროების მონაცემებს“.

გ. ღუნდუა.

ძველი კოლხეთის სახელმწიფოს არსებობის შესახებ პირდაპირი ცნობები არ მოგვეპოვება. მოსაზრება, რომ ის ძლიერი და განვითარებული სახელმწიფო იყო, ძირითადად კურდნობა ადგილობრივი მონეტის, „კოლხური თეთრის“, მოჭრის ფაქტს.

ქვწ. 65 წელს საქართველო რომის იმპერიის სარდალმა პომპეუსმა დალაშქრა, რომელმაც კოლხეთის მმართველად არისტარქე დანიშნა. ზოგი ანტიკური წყარო მას მეფედ იხსენიებს, აღმოჩნილ მონეტებზე კი მითითებულია — „არისტარქე, მმართველი კოლხეთისა“.

### წყარო 4

„საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩნილი XII-XIII საუკუნეების სამონეტო განძის ანალიზის საფუძველზე ირკვევა, რომ საქართველოში მოხვედრილა ბიზანტიის ყველა იმპერატორის სახელით მოჭრილი მონეტა და მუსლიმური დინასტიების ფული, ყველა მათგანი ქართულ მონეტებთან ერთად მიმოიქცეოდა.“

ი. გაგოშიძე.



სურ. 3. თამარის მონეტა. 1184-1210

### წყარო 5

#### თამარ მეფის მონეტის ზედწერილი:

„დედოფალი დიდებული, მშენება ქეყნისა და სარწმუნოებისა, თამარ, ასული გიორგისა, მესის თაყვანისცემელი, განადიდოს ღმერთმან ძლევანი მისი, განაგრძოს ჩრდილი მისი და განამტკცოს კეთილდღეობა მისი“.

#### დაუით ნარინის მონეტის ზედწერილი:

„მსოფლიოს მფლობელის ყაენის მონა დაუით მეფე“.

### კითხვები

თამარის მონეტების ზედწერილები არაბულ ენაზეა შესრულებული, როგორ ფიქრობ, რატომ?

წყარო 5-ში გაღმოცემული მონეტის ზედწერილი რომ ერთადერთი კონბა იყოს, რას იტყოდი დაჯით ნარინის შესახებ?

### დავალება 2

შეაფასე ნუმიზმატიკური ძეგლების მნიშვნელობა ისტორიის შესწავლის საქმეში საქართველოს მაგალითზე.

### დამატებითი მასალა

❖ XIX საუკუნიდან ქართლ-კახეთი რუსეთის იმპერიის ნაწილად იქცა. 1834 წელს ქართული ზარაფხანა დაიზურა.

❖ დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ ქაღალდის ფული — ბონები გამოუშვა, აგრეთვე ხურდა ფული — „50 კაპეიკა“.

ბონებს ქართულად, რუსულად და ფრანგულად წერა „მიღება საკალდებულოა თანაბრად რუსეთის სახელმწიფო საკრედიტო ბილეთისა“; ქართულად წერა — „ბონებისათვის პასუხისმგებელია საქართველოს რესპუბლიკა მთელი თვეის ქონებით“; „ყალბი ბონების დამხადებისათვის და გასაღებისათვის დამნაშავე დაისჯება სისხლის სამართლის წესით“.



❖ 1993 წელს მთავრობის დადგენილებით საქართველოს ეროვნულმა ბანკმა გამოუშვა დროებითი ფულადი ერთული კუპონი, რომელიც ეროვნული გალუტის გამოსვლამდე უნდა ყოფილიყო მიმოქცევაში. კუპონი მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე გაუფასურებულ ფულად ერთულად იქცა. გამოდიოდა 30000, 50000, 250000, 500000, 1000000 კუპიურიანი კუპონები.

❖ 1995 წელს გამოიცა საქართველოს სახელმწიფო მეთაურის №363 ბრძანებულება „მიმოქცევაში ეროვნული გალუტის „ლარის“ გამოშვების შესახებ“.

❖ 1995 წლის 2 ოქტომბრიდან ლარი საქართველოს მთელს ტერიტორიაზე ერთადერთ საგადასახადო საშუალებად გამოცხადდა.

ერთი ლარი 1000000 კუპონზე იცვლებოდა.



### დაგენება 3

ჩამოთვალე და დაახასიათე ქართული ფულის ერთულები.

შეადარე ქართული ფული რომელიმე უცხო ფულად ერთულს.

დეტალურად აღწერე ქართული ლარის რომელიმე კუპიურა, მიუთითე მისი დამცავი ნიშნები.

წარმოიდგინე, რომ გავიდა რამოდენიმე საუკუნე, შენ სწავლობ 2000-იანი წლების ნუმიზმატიკას, როგორ ფიქრობ რა სახის ნიმუშებს იპოვიდი? აღწერე აღმოჩენილი მასალა და ნუმიზმატური ნამუშევრების საფუძველზე დაახასიათე საქართველოს საფურო და პოლიტიკური კავშირები.

## §11. პერალდიკა

პერალდიკა არის ისტორიის დამხმარე დისციპლინა, რომელიც გერბებს შეისწავლის.

გერბი ცალკეული სახელმწიფოს, ქალაქის, გვარის თუ ორგანიზაციის განმასხვავებელი ნიშნის მატარებელი სიმბოლოა, რომელიც განსაზღვრული წესებით არის შესრულებული და სხვადასხვა გამოსახულებებს აერთიანებს.

გერბი შუა საუკუნეებიდან იღებს სათავეს და რაინდთა ტურნირებს უკავშირდება. ტურნირზე ასპარეზობა რაინდის ცხოვრების გა-

ნუყოფელი ნაწილი იყო. შეჯიბრის დაწყებისას ვეტერანი რაინდი — პეროლდი საზოგადოებას აუწყებდა მოასპარეზის ვინაობასა და წარმომავლობას. დროთა განმავლობაში ასპარეზობაზე რაინდისათვის ერთგვარ საშვად გერბი იქცა, რომელიც რაინდის შესახებ ყველა საჭირო ინფორმაციას შეიცავდა — პეროლდი საყვირით ხმადღლა აღწერდა გერბს, რითაც ადასტურებდა ტურნირში რაინდის მონაწილეობის უფლებას.



სურ. 2. რაინდთა ტურნირი



სურ. 1. საქართველოს სახელმწიფო გერბი  
წარმოშობის მიხედვით მეცნიერები გამოყოფენ „უძველეს საგვარეულო გერბებს“ და „სიგელით ბოძებულ გერბებს“, რომლებიც მოგვიანებით დაკანონდა — მათ სახელმწიფოს თავი უწყალობებდა ხოლმე დამსახურებულ ქვეშვერდომებს.

### ეს საინტერესო:

❖ არსებობდა „მუკრელობითი“ ანუ „ნაწყალობები გერბები“. სანამ არაგონის პრინცი გოტფრიდი ნორმანებთან ბრძოლაში თავს გამოიჩნდა, არაგონის გერბზე მხოლოდ ოქროს ფარი იყო გამოსახული. გოტფრიდის მიერ გამოჩენილი გმირობის აღსანიშნავად ფრანკის იმპერატორმა კარლოს მელოტმა ოთხი თითო პრინცის სისხ-

ლში ამოისვარა და ფარზე ვერტიკალურად დაუსვა, ამის შემდეგ არაგონის მეფეთა გერბზე ოქროს ფარზე ოთხ მეწამულ სკეტს გამოსახულდნენ.

❖ გერბზე არა მარტო საგმირო საქმები, არამედ უღიროსი საქციელიც აისახებოდა. მძიმე დანაშაულისათვის რაინდს წოდებას ართმედნენ, შედარებით მსუბუქი დანაშაულისათვის კი გერბის გამოსახულებაში შექონდათ ცვლილებები, აკლებდნენ ზოგიერთ ელემენტს — საფრანგეთის მეფემ ლუდოვიკ წმინდამ დედის შეურაცხოფისათვის დასაჯა თვითი ქვეშვერდომი ჟან დ'აკინი და გერბზე ბრჭყალებიანი ლომის გამოსახვა აუკრძალა.


### კითხვები

1. შენი აზრით, რა არის გერბი, როგორ გესმის მისი ფუნქცია და მნიშვნელობა?
2. შენ რას გამოსახული ჩვენი ქვეყნის გერბზე და რატომ?

### დავალება 1

შეასრულე ერთ-ერთი დავალება:

1. შექმენი შენი ოჯახის ან გვარის გერბი, მოიფაქრე სიმბოლოები და ახსენი მათი მნიშვნელობა.
2. გამოიგონე სახელმწიფო ან ქალაქი და შექმენი მისი გერბი, ახსენი მასში გამოყენებული სიმბოლოების მნიშვნელობა.



სურ. 3. ????????????

შეა საუკუნეებში რაინდის აღმურვილობის მნიშვნელოვანი ნაწილი იყო ფარი. საგვარეულო სიმბოლიკას ფარზე გამოსახულდნენ ხოლმე. დროთა განმავლობაში რაინდის ჯუშანი ისეთი უსაფრთხო გახდა, რომ ფარმა პირდაპირი ფუნქცია დაკარგა და მთლიანად ჰერალდიკის სფეროში გადაინაცვლა. ფარი გერბის ძირითად გამოსახულებად იქცა.

საომარი ფარი მრავალგვარი იყო, მაგრამ გერბზე უმეტესად ფრანგული ტიპის ფარი გამოიხატებოდა — ქვედა მხარეს გულისებურად წაწვეტებული ოდნავ წაგრძელებული კვადრატი.

გერბის ფარზე სხვადასხვა ფიგურებს გამოსახულდნენ. მაგალითად საფრანგეთში, სახელმწიფო მოხელეები განსხვავებულ ჰერალდიკურ ნიშნებს ფლობდნენ: მარშლის გერბზე — ორი გადაჯვარედინებული კვერთხი, სარდლის გერბზე — ორი გაშიშვლებული ხმალი, აღმირალის გერბზე კი ორი ღუზა გამოისახებოდა.

გერბის გამოსახულებებს მეცნიერები სამ ჯგუფად ყოფენ: 1. ბუნებრივი — ცხოველები, მცენარეები და ციური სხეულები. 2. გამოგონილი — ურჩხულები და ფანტასტიკური ცხოველები. 3. ხელოვნური — ხელოვნების, მანუფაქტურებისა და ხელოსნობისათვის დამახასიათებელი საგნები.

ბუნებრივი გამოსახულებებიდან ყველაზე ხშირი ლომისა და არწივის ფიგურებია, ყვავილებიდან ვარდი და შროშანი



სურ. 4. ??????????????????????????????????

ჭრბობს, ხოლო ციური სხეულებიდან — შენ, მთვარე და ვარსკვლავები. ხშირია ორთავიანი არწივის, ფრთოსანი ლომის, გრიფონისა და კენტავრის გამოსახულება, ხელოვნური ფიგურებიდან კი კოშკი, კელუსია, ჯვარი, ხომალდი, აგრეთვე რაინდთა ცხოვრების წესის ამსახველი ნივთები — მონადირის საყვირი, ისრები, მგლის ხაფანგი, ჭადრაკის ფიგურები და სხვა მრავალი.


გერბზე ფართან ერთად მუზარადიც გამოიხატებოდა. ტურნირზე ასპარუზობისას რაინდი წარმოშობის დასადასტურებლად ჰეროლდთა საბჭოს ფართან ერთად მუზარადსაც წარუდგენდა. თანდათან მუზარადმაც დაიმკიდრა ადგილი ჰერალდიკაში. ძველ გერმანიაში ზოგიერთ ფეოდალს გერბზე იმდენი მუზარადი ჰქონდა გამოსახული, რამდენ სამთავროსაც განაგებდა. მუზარადს გერბის შუაში ფარის თავზე გამოხატავდნენ. მოგვიანებით მუზარადი უზენაესი ძალაუფლების სიმბოლომ — გვირგვინმა შეცემა. გვირგვინს არა მარტო მონარქები, ჰერცოგები, თავადები და სხვა დიდგვაროვნებიც ატარებდნენ.

გვირგვინი, განსაკუთრებით კი ფარი, გერბის ძირითადი ნაწილია და მფლობელის წოდებრივ ხარისხს, დამსახურებას, უფლებებს აღნიშვნას. გერბს, გარდა ამისა, მეორეხარისხოვანი ნიშნებიც აქვს, რომელთა ფუნქცია მისთვის სიღამაზის და მეტი ბრწყინვალების მინიჭებაა. ასეთებია მაგალითად, ფარისმტებრითგელთა გამოსახულება, მანტია და დევიზი.

ფარისმტვირთველს ადამიანების, ცხოველების ან სხვადასხვა ფანტასტიკური ფიგურების სახით გამოხატავდნენ. გერბზე ფარისმტვირთველებს ხელში ფარი უჭირავთ. მეცნიერები მიიჩნევნ, რომ ეს ტრადიციაც რაინდთა ტურნირებს უკავშირდება, რომელთა დროსაც საჭურველომტვირთველი გალდებული იყო, რაინდის იარაღი ეტარებინა.

მანტია გერბის უკან ფარდის სახით გამოისახება, ზეაწეული კალთებით. ის უქეტესად ლაჟვარდოვანი ან მეწამული ფერისაა. მის პიქს ლირსების გვირგვინი ქმნის.

რაც შექება დევიზს, ის ძირითადად, ფარის ქვევით, ლენტზეა დაწერილი და ლაჟონურ, მაგრამ მრავლისმთქმელ ფრაზას წარმოადგენს.



### ეს საინტერესო:

❖ 1329 წელს შოტლანდიის მეფემ რობერტ ბრიუსმა სიკვდილის წინ თავის მამაც რაინდს — დუგლას შავს წმინდა მიწაზე მისი სხეულის ნაწილის, კერძოდ კი გულის, წაღება დაავალა. მეფის გარადაცვალების შემდგა დუგლასი მართლაც გაემართა პალესტინისაკენ და თან ვერცხლის ზარდახშით მეფის გული წაიღო, მაგრამ დავალების შესრულება ვერ შეძლო, რადგან გზაში ერთ-ერთ ბრძოლაში დაიღუპა, თავისი მეფის გულით ხელში. დუგლასების საგარეულო გერბზე ამ თავგანწირების აღსანიშნავად გამოსახულია მწამული გული სამეფო გვირგვინით და დევიზით „შესრულება ან სიკვდილი“.



სურ. 6. ბრიტანეთის გერბი

❖ თავდაპირველად გერბებში ოთხი ფერი: წითელი, ლურჯი, თეთრი და შავი გამოიყენებოდა და მათ სიმბოლური მნიშვნელობა ჰქონდათ. მაგალითად, მეწამული ფერი სახელმწიფოს ან ეკლესიისთვის დაღვრილ სისხლს გამოხატავდა, ლაჟვარდი — ცას, მწვანე — ბალახს, შავი — სიბნელეს, დარდს.

❖ ფრანგულ ჰერალდიკაში, რომელმაც გაფლენა რუსულ, შემდგა კი ქართულ ჰერალდიკაზეც იქნია, გამოიყენებოდა ორი ლითონი — ოქრო და ვერცხლი და ხუთი ფერი. წითელი ანუ მწამული, ლურჯი ანუ ლაჟვარდოვანი, მწვანე ანუ ზურმუხტოვანი, პორფირი ანუ ძოწეული და მოიისფრო შინდისფრი.


### დავალება 2

დაიყვით ჯგუფებად და საკონკურსოდ შექმნით თქვენი სკოლის ან კლასის გერბი, ახსენით და დაასაბუთეთ მისი თითოეული ელემენტი, შეცადეთ დაიცვათ ჰერალდიკის თქვენთვის ცხობილი წესები.

### განამრტებები:

გრიფონი — მითოლოგიური არსება არწივის ტანით და ლომის თავით.

კენტავრი — მითოლოგიური არსება, რომელსაც აქვს ცხენის ტანი და ადამიანის გულმკერდით და თავით



სურ. 1. ბაგრატიონთა გერბი შედგენილი გახსენტი ბატონიშვილის მიერ

### §12. ქართული გერბები

ჰერალდიკური ანუ საგერბო გამოსახულებები საქართველოში უძველესი დროიდან არსებობდა.

#### წყარო 1

„ღერბინი არიან ნიშანი ხარისხისა და პატივისანი, წარმოდგენილნი ფერებითა და ნაკვეთებთაგან ფარსა ზედა ან გულსა ზედა გერბისა განსხვავდებისათვის გვართა ანუ შთამომავლობათა და საკუთართა ადგილთა და ქვეწიურობისათა“.

იოანე ბატონიშვილი

აზიურ ქვეწებში კლასიკური ტიპის გერბები არ იყო მიღებული. მათ მაგივრობას საბეჭდავები სწორია. ბეჭდებს საქართველოშიც ხანგრძლივი ისტორია აქვს — სხვადასხვა ემბლემის შემცველი საბეჭდავები დღემდე მრავლად არის შემონახული.

ჩვენამდე გიორგი III-ის სახელმწიფო ოქროს ბეჭედმა მოაღწია (XII ს.). მასზე წმინდა გიორგია გამოსახული — მარცხნია ხელში შუბით, მარჯვენა ხელით ფარზე დაყრდნობილი. ბეჭდის გამოსახულება შებრუნებულია, რაც მისი პირდაპირი დანიშნულების (საბეჭდავი) მაჩვენებელია.

ბეჭდების გარდა საგერბო გამოსახულებები დროშებზეც გამოიხატებოდა.

### ეს საინტერესოა:

სფრაგისტიკა — (ბერძ. ბეჭედი) ან სიგილოგრაფია (ლათ. ბეჭედი) — ისტორიის დამხმარე დისციპლინა — სწორად ბეჭდებს (მატრიცებს), მათ ანაბეჭდებს სხვადასხვა მასალაშე.

თვითივან სფრაგისტიკა დაბლომატიკის ნაწილი იყო და მხოლოდ დოკუმენტების ორიგინალობის დადგენას ცდილობდა. სფრაგისტიკის, როგორც ისტორიული მეცნიერების დარგის განვითარებას ხელი შეუწყო არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებულმა დიდძალმა მასალამ ბეჭდებისა და ანაბეჭდების სახით. აღმოჩენილი იყო მესოპოტამიური ცეკვილიზაციის და ეგვიპტის ცილინდრული ბეჭდები, ანტიკური ბეჭედი-ფარები, ბიზანტიისა და შეუ საუკუნეების ვეროპის დაკიდებული ბეჭდები, ანაბეჭდები კერამიკაზე და ჭურჭელზე, თიხის ფირფიტები ლურსმული დამწერლობით და სხვა მრავალი. სფრაგისტიკა, როგორც ისტორიული მეცნიერების დამოუკიდებელი დარგი, ახდენს არქეოლოგიური კულტურის, სახელმწიფოების, ცივილიზაციების ბეჭდების კლასიფიკაციას, ალაგებს მათ ქრონოლოგიურად და ტიპების მიხედვით. სფრაგისტიკულ მასალაში აისახება შიდასახელმწიფოებრივი, სახელმწიფოთაშორისი და კრძო ურთიერთობები.

პირველად ქართული გერბების თავმოყრას ვახუშტი ბატონიშვილის მიერ შედგენილ კავკასიის რუკაზე ვხვდებით. აქ, სახელმწიფო გერბის სამ გარიანტან ერთად, მოცემულია საქართველოს ისტორიული პროინციების 13 გერბი: აფხაზეთის, გურიის, ოდიშის, იმერეთის, კახეთის, სომხეთის, შირვანის, ლევალესტანის, სამცხე-საათაბაგოს, ქართლის, სვანეთის, ოუხეთისა და რანის.

გახუშტის რუკებზე გამოსახულ გერბებს მეცნიერთა ნაწილი დროშებად მიიჩნევდა, თავად გახუშტი მათ შესახებ წერდა „ღებნი ანუ ნიშნი...“. ეს გერბები ნაკლებად ითვალისწინებს ვეროპული ჰერალდიკის წესებს, უფრო ადგილობრივ ტრადიციებზე დაყრდნობით არის შექმნილი და ძველ ტოტემურ სიმბოლიკას უხვად შეიცავს (გერბებზე გამოსახულია ჯიხი, დათვი, ტახი, შველი, ირემი).

უეჭველია, რომ წარჩინებული ქართული გვარები უძველესი დროიდან იყენებდნენ საოჯახო და საგვარეულო ემბლემებს, რომლებიც შემდგომ ვეროპული ტიპის გერბებად გარდაიქმნა.

ვეროპული წესებით შექმნილი ქართული გერბი XVII საუკუნიდან ჩნდება.

ვახტანგ VI-ის გერბი დასავლური ჰერალდიკის პრინციპებით არის შედგენილი. კლასიკური ვეროპული სახე კი ქართულმა გერბმა რუსეთის შევრთების შემდეგ მიიღო. შეიქმნა საქალაქო გერბები — ქუთაისის, თბილისის, ბათუმის, თელავის, ახალციხის, გორის, ოზურგეთის, ზაქათალის. განსაკუთრებით განვითარდა საგვარეულო ჰერალდიკა. თავადაზნურთა გერბებს რუსეთის საიმპერიო „ჰერალდიკის საგერბე განყოფილება“ ამტკიცებდა. გერბი ყოველი წესის დაცვით უზრა ყოფილიყო შედგენილი. საქართველოს ტიტულოვანი გვარების მიერ წარდგენილი გერბებიდან მხოლოდ ოცდასამი დამტკიცდა.

სურ. 2. რუსეთის იმპერიის გერბი

### ეს საინტერესოა:

❖ ქართული სამეფო გვირგვინი ოქროსი იყო, ძვირფასი ქვებით მოჭუდილი, რვა რკალისაგან შედგებოდა, რომლებიც ერთიანდებოდა და ზევით ჯვრით ბოლოვდებოდა. სწორედ ამგვარი სახითა გვირგვინი გამოხატული საქართველოს სამეფო გერბზე.

❖ საქართველოში კორპორაციულ გერბებსაც ვხვდებით. ხელოსანთა და გაჭრთა ამქრებს თავიათი გერბებები ჰერნდათ. გერბი დროშეზე იყო გამოსახული და ამა თუ იმ დარგის მფარველი წმინდანის ფიგურას შეიცავდა. მფარველ წმინდანად ისეთ ბიბლიურ პერსონაჟს იჩივებნენ, რომელიც თავისი ცხოვრება-მოღვაწეობით უკავშირდებოდა ამქარ-



სურ. 3. დადიანებისგვრბი

თა საქმიანობას. დროშაზე ხშირად ხელსაქმის ძირითადი იარაღები და წარმოების პროდუქციაცაა მოცემული. ამგვარ გერბებს კლასიკური ფორმა არ ჰქონდათ, მაგრამ ისინი მაინც თამამად შევიძლია მოვაკუთვნოთ კორპორაციული გერბების რიცხვს.

ასევე კორპორაციული გერბებია თბილისის უნივერსიტეტის ემბლემა, საპატრიარქოს საბეჭდე გერბი და სხვა.

### კითხვები:

- წყარო 1-ის მიხედვით, როგორ ფიქრობ, იოანე ბატონიშვილისათვის ცნობილია ევროპული ჰერალდიკა, თუ ის მხოლოდ ძველ ქართულ საბეჭდავებს იცნობს?
- წყაროს 1-ის მიხედვით, შენი აზრით, რა არის გერბის ძირითადი ფუნქცია?
- როგორ ფიქრობ, რა განსხვავებაა თანამედროვე და შუა საუკუნეების გერბების ფუნქციებს შორის?

### დაგალება 1

1. დაახასიათე ქართული გერბები, მისი სიმბოლოები, მათ შორის როგორი გამოსახულებები ჭარბობს და, შენი აზრით, რატომ? (§11, სურ. 1, §12, სურ. 10 — ახალი და ძველი გერბები)

2. შეადარე ქართული და ევროპული გერბები, აღმოაჩინე მათ შორის მსგავსება და განსხვავება.



სურ. 4. ??????????



სურ. 5. კახეთის გერბი



სურ. 6. ??????

### დამოუკიდებელი სამუშაო

ქართულ ჰერალდიკაში სამ ეტაპს გამოყოფენ: 1. ნაციონალურს, როცა ევროპულ ჰერალდიკას ნაკლებად იცნობდნენ და გერბები ადგილობრივ სიმბოლიკაზე დაყრდნობით იქმნებოდა, 2. რუსულ-ევროპულს, როცა დაიწყეს ევროპული ჰერალდიკის წესების გათვალისწინება 3. საბჭოურს, რომელიც ხასიათდება ჰერალდიკის წესების სრული იგნორირებით და თანამედროვე ფიგურების სიჭარბით. 4? თანამედროვე ?????????????????/????????????/

მოცემული გერბები მიაკუთვნე შესაბამის ეტაპს, დაასაბუთე შენი ვერსიები.



სურ. 7. სსრკ-ს გერბი



სურ. 8. ??????????????



სურ. 9. თბილისის გერბი



სურ. 10. საქართველოს სსრ გერბი



სურ. 11. ??????????????



სურ. 12. აშშ-ს გერბი

**განმარტება**  
ტოტება — ????????????????

## §13. გეისილოლოგია



შენ უკვე იცი, რომ სახელმწიფო სიმბოლიკა შედგება სამი ძირითადი კომპონენტისაგან: დროშა, ჰიმნი და გერბი.

სახელმწიფო დროშა არის სახელმწიფოს ოფიციალური განმასხვებელი ნიშანი, რომლის აღწერილობას კანონი (როგორც წესი, კონსტიტუცია) ადგენს. დროშა ითვლება სახელმწიფოს სუვერენიტეტის სიმბოლოდ, წარმოადგენს ერთფერ ან მრავალფერ ქსოვილს, რომელზედაც, შესაძლოა, გამოსახული იყოს გერბი ან რაიმე სხვა ემბლემა. სახელმწიფო დროშა აღმართულია სახელმწიფო დაწესებულებების, საელჩოების, საკონსულოებისა და

სხვა შენობებზე. დღესასწაულების დღეებში საელჩოები, საკონსულოები გამოფენენ საკუთარი ქვეყნების დროშებს. სახელმწიფოს მიერ ოფიციალურად გამოცხადებულ გლოვის დღეებში სახელმწიფო დროშის დაწესებულობა ყველან, განურჩევლად მისი ადგილსამყოფელისა და ამასთან ფლაგშტოკის (დროშის ტარი) წვერზე გლოვის ნიშნად შებმული უნდა იყოს მოკლე შავი ლენტი.

დროშების შემსწავლელ მეცნიერებას ვექსილოლოგია ეწოდება. ის ისტორიულ დისციპლინათაგან ყველაზე ახლოს ჰქონდიკასთან დგას.

### წერო 1

„დროშას ყოველი პატიოსანი კაცი, ყოველი ერი თაყვანსა სცემს, როგორც ემბლემას ერის პატიოსნებისას, ერის დირსებისას, რომლის შეუმწიგვებლად დაცვისათვის — არამც თუ ცალკე კაცი, არამედ მთელი ერი ... სიცოცხლეს არ ზოგავს და მისთვის სიკვდილი სახელად და დიდებად მიაჩნია“.

ილია ჭავჭავაძე.

ტერმინი „დროშა“ ქართულ წერილობით წყაროებში IX საუკუნიდან ჩნდება, მოგვიანებით გამოიყენებოდა მისი შესატყვისებიც „ბავრაყი“, „დრაუეი“, „ბაირალი“.

დროშის ტარს ქართულ წყაროებში „ქელს“ ან „ბუნს“ უწოდებდნენ. ტარზე შებმულ ტილოს კი — „ალამს“. ზოგჯერ ალამი დროშის სინონიმადაც იხმარებოდა.

წყაროების მიხედვით, საქართველოს დროშას ალამი ბუნზე მიღურსმული კი არ ჰქონდა, არამედ — მიბმული. როგორც თამარის ისტორიკოსი ამბობს: „ააბეს დროშა სვიანად ხმარებული“. ალმების ქსოვილად აბრეშუმს იყენებდნენ.

ქართული წყაროები სახელმწიფო დროშას იხსენიებენ, როგორც „გორგასლიან და დავითიანი... ბელიერად ხმარებულს“, დიდწიშვნელოვანი მოულენის დროს (ლაშქრობა, მეფედ კურთხევა) სწორედ სახელმწიფო — „სეფე დროშა“ გამოჰქონდათ.

### წერო 2

„თამარმა მოიღო დროშა სვიანად ხმარებული, გორგასლიანი და დავითიანი და შეავეღრა ვარძიის დვთისშმობელსა. დროშა და ლაშქარი დალოცა და წარავლინა სპარსეთს“.

„ქართლის ცხოვრება“.

### წერო 3

„სეფე-დროშა ორგვარი ყოფილა: ერთი იყო „დიადი დროშა“, რომელსაც მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში გამოიტანდნენ ხოლმე, და მეორე კიდევ პატარა დროშა, რომელიც ალბათ სანიადაგოდ სახმარებლად იქმნებოდა. ამიტომ უნდა იყოს, რომ გახტანგ ბატონიშვილის სიტყვებით, საქართველოში „მხედართ-მთავართა მათ აქვნდათ დროშა თვითო და მეფესა ორი“-ო ცხადია „დიდი დროშა“ ანუ „სეფე დროშა“ საქართველოს სახელმწიფო დროშა უნდა ყოფილიყო, პატარა კი პირადად მეფისა“.

ფ. ჯაფარიშვილი.



სამეფო დროშების გარდა, თვითითი დროშები პქონდათ ამირსპასალარს, სპასალარებს, ერისთავთ-ერისთავებსა და ერისთავებს; მეფის ჯარს და ეკლესიას.


გარდა ალმიანი დროშებისა ყოფილა „დროშაკები“ — ლითონის დისკოს ფორმის საომარი დროშები; ცხოველის ფორმის დროშები — ქსოვილისა-გან დამზადებული ცხოველები, რომელთაგან ცნობილია სვანური დროშა — ლომი; აგრეთვე დროშა-ჯვრები, რომელთაც „საწინამძღვრო“ ქოდებოდა და მაღალ ტარზე დამაგრუბულ ჯარს წარმოადგენდნენ და სხვ.



#### წერო 4

„გიორგი III მიმართას ჯარს) მოუმენო იგი კვაბთ რომელმანცა უსწავეს უხეთქნეთ დროშის-მქონესა და დაცემითა მისითა დავსცეთ ბანაკი... ვითარ იზილეს დროშა დაცემული იზუმიეს სილტოლ-გაი ძალისაებრ პუნთას“

„ქართლის ცხოვრება“.



#### წერო 5

„დროშაი იგი ხალიფისაი, რომელი მოიღო შალ-ვა ახალციხელმან, (თამარმა) წარგზავნა მონასტერ-სა დიდსა წინაშე ხახულისა ღვთისმშობლისასა“

„ქართლის ცხოვრება“.



#### წერო 6

„მაიახლებოდა მეფე და მისი რაზმი და დროშაი იგი გორგასლიანი, რომელი შესვლითგან მოსპეტაკ-დებოდა (თეთრად მოელვარებდა)“.

„ქართლის ცხოვრება“.



#### კითხვა

1. შენი აზრით, რა დატვირთვა აქვს დროშას, როგორც სახელმწიფო სიმბოლოს?

2. როგორ ფიქრობ, რატომ სწირავენ თვეს დროშისათვის?

3. წერო 6-ის მიხედვით, რა ფერის უნდა ყოფილიყო ქართული სეფე დროშა.



პირველად სახელმწიფო სიმბოლიკის, მათ შორის სახელმწიფო დროშების, აღწერა მოცემულია XIV საუკუნეში უცნობი ფრანცისკანელი ბერის მიერ გამოცემულ „მსოფლიო ატლასში“. ატლასში მოხვდა საქართველოს დროშაც, რომლის თეთრ ფონზე შუაში წითელი მოზრდილი ჯვარი, ხოლო ოთხივე კუთხეში ამავე ფერის პატარა ჯვრებია გამოსახული. ჯვარს სიმბოლური დატვირთვა აქვს, რაღაც ქრისტიანული ტრადიციის თანახმად, თეთრ ფონზე გამოსახული წითელი ჯვარი წმინდა გიორგის მფარველობას ნიშნავდა.

მოგვიანებით, ვახუშტი ბაგრატიონის მიერ XVIII საუკუნეში შედგენილ რუკაზე ქართულ სამეფო-სამთავროთა 16 დროშაა წარმოადგენილი. მათ შორისაა ბაგრატიონთა საგარეულო დროშა, რომელზეც თეთრ ცხენზე ამხედრებული წმინდა გიორგის გამოსახული.





სურ. 1. საქართველოს სახელმწიფო დროშა

საქართველოს ახლანდელი სახელმწიფო დროშა შემოღებული იქნა საქართველოს ორგანული კანონის საფუძველზე, რომელიც ძალაში 2004 წლის 14 იანვრიდან შევიდა.

ამ კანონით დადგენილი საქართველოს სახელმწიფო დროშა არის საქართველოს სახელმწიფო დროშის ერთადერთი გარიანტი. აკრძალულია საქართველოს სახელმწიფო დროშად სხვა დროშის გამოყენება. კანონი ადგენს საქართველოს სახელმწიფო დროშის, როგორც სახელმწიფო სიმბოლოს, აღწერილობას, მისი გამოყენებისა და დაცვის წესებს.

საქართველოს სახელმწიფო დროშა არის მართულთა თუთრი ფერის ქსოვილი, რომლის ცენტრალურ ნაწილში გამოსახულია დროშის ოთხივე კიდესთან დაკავშირებული სწორკუთხა წითელი ფერის დიდი ჯვარი; ჯვრის ვერტიკალურ-პორიზონტალური მკლავებით გამოყოფილ ოთხკუთხედებში გამოსახულია ოთხი იმავე ფერის (წითელი) ბოლნურ-კაცხური ჯვარი. საქართველოს სახელმწიფო დროშის სტანდარტული ზომები და ზუსტი გამოსახულება დგინდება საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით.

საქართველოს სახელმწიფო დროშა მუდმივად არის აღმართული: საქართველოს პრეზიდენტის რეზიდენციის, საქართველოს პარლამენტის, საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებების, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს, საქართველოს უზენაესი სასამართლოს და სხვა ცენტრალური, რეგიონული და ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების აღმინისტრაციულ შენობებზე, ასევე საზღვარგარეთ არსებულ საქართველოს საელჩოებისა და სხვა დიპლომატიური წარმომადგენლობების შენობებზე, საზღვაო გემებსა და საზღვაო მიმოსვლის სხვა საშუალებებზე, რომელთა მიწერის ადგილი საქართველოს ტერიტორიაა.



სურ. 2. საქართველოს დროშა. 1918-1921; 1990-2004



სურ. 3. საქართველოს სსრ დროშა

### ეს საინტერესოა:

❖ 1918-21 წლებში, საქართველოს დამოუკიდებლობის ხანმოკლე პერიოდში საქართველოს სახელმწიფო დროშა იყო სამფეროვანი დროშა, დიხაინი შერჩეულ იქნა კონკურსით, რომელშიც მხატვარი იაკობ ნიკოლაძის იდეამ გაიმარჯვა.

დროშის ფერები ქართულ მთოლოგიას უკავშირდება: თუთრი ფერი ასახვს ღვთიურ სამყაროს, შინდასფერი — ადამიანების, ცხოველთა და მცენარეულ სამყაროს, შავი კი — იმქვეყნიურ სამყაროს. ფერების უფრო გვიანდელი განმარტებით — თუთრი სიკეთეს და სიწმინდეს გამოხატავდა, შინდასფერი — რეგოლუციურ ცვლილებებსა და პროგრესისკენ სწრაფვას, შავი კი — ბნელეთს.

დამოუკიდებელი საქართველოს დროშა 1921 წელს საბჭოთა რუსეთის მიერ ქვეყნის ანექსიის შემდეგ გაუქმდა და მხოლოდ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, 1990 წელს ისევ სახელმწიფო დროშად გამოცხადდა.

❖ საბჭოთა პერიოდში საქართველოში წითელი საბჭოთა დროშის რამდენიმე ვარიანტი იყო მიღებული. დროშაზე ან საქართველოს სსრ (საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა) იყო აღბეჭდილი, ან წითელი ნამგალი და ურო ვარსკვლავით ლურჯ შესა და ლურჯ ზოლზე დროშის ზედა ნაწილში.

### კითხვები:


1. შენი აზრით, რატომ დგას ვექსილოლოგია ისტორიული დისტინციებიდან ყველაზე ახლოს ჰქონდიკასთან?
2. გაანალიზე, რა ფაქტორები ახდენდნენ გავლენას სხვადასხვა დროში საქართველოს დროშის ფორმირებაზე? პასუხი დაასაბუთე.
3. როგორ ფიქრობ, რატომ აქეს სახელმწიფოს მხოლოდ ერთი სახელმწიფო დროშა და რატომ დგინდება დროშის სტანდარტული ზომები და ზუსტი გამოსახულება საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით?

### ეს საინტერესოა:

❖ ისრაელის დროშა თვითადი პირველად სიონისტური მოძრაობისთვის შექმნეს 1891 წელს. ვიზუალურად ის წარმატების ტალიოს — მოსასხამს, რომელსაც ეპრაელები ლოცვისას იხურავენ.

დროშის ცენტრში მოთვესებულია მაგენ დავითი — ექვსკუთხედი, ასევე ცნობილი როგორც დავითის ვარსკვლავი და დავითის ფარი. აღნიშნული დროშა 1897 წელს, სიონისტური მოძრაობის პირველ კონგრესზე, ოფიციალურად იქნა მიღებული მოძრაობის სიმბოლოდ.

1948 წლის 28 ოქტომბერს, ისრაელის, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღიარების 5 თვის თავზე, დროშას სახელმწიფო სტატუსი მიენიჭა.



სურ. 4. აშშ-ს დროშა 1. 1776 წ.



სურ. 4. აშშ-ს დროშა 1777 წ.



სურ. 6. აშშ-ს თანამედროვე დროშა

❖ 1776 წელს ინგლისის კოლონიების წარმომადგენლობითმა II კონტინენტურმა კონგრესმა აშშ-ს დამოუკიდებლობის დეკლარაცია მიიღო.

კონგრესმა დაამტკიცა ახალი სახელმწიფო დროშა. დროშის ლურჯ ფონზე 13 ვარსკვლავი და 13 წითელი და თეთრი ზოლი იყო გამოსახული. 13-ს სიმბოლური დატვირთვა პქონდა, რადგან იმ დროისათვის აშშ 13 შტატს აერთიანებდა. (დღეს ამერიკის შეერთებული შტატების შემადგენლობაში 50 შტატია)


### წერო 1:

„ვარსკვლავები ციდან ავიდეთ; წითელი ფერი იმ ქვეყანას აღნიშნავს, საიდანაც მოუცურდით; თეთრი ზოლები წითელზე კი იმ ქვეყანასთან განშორებისა და ამერიკის მომავალი თაობების თავისუფლების სიმბოლოა“.

ჟორჯ გშინგტონი

### კითხვები:

1. როგორ ფიქრობ, რა ფაქტორები განაპირობებს სახელმწიფო დროშის ფორმირებას?
2. გამოყენეთ დროშების ისტორიიდან ერთ-ერთი, თქვენთვის საინტერესო დეტალი და ახსნით, რით არის ის მნიშვნელოვანი.
3. თქვენ რომ ვექსილოგრაფი იყოთ, რომელი სახელმწიფოს დროშის ანალიზით დაინტერესდებოდით კვლევის პროცესში რა ნიუანსებზე გაამახვილებდით ეუროდღებას და რატომ?




ინგლისი - წმინდა გოორგის ჰერალდიკური

შოტლანდია - წმინდა ანდრია პარველინდებულის ჰერალდიკური

### დამოუკიდებელი სამუშაო:


დააკეირდი ქართულ სამეფოსამთავროთა დროშებს; შეცადე დაადგინო, რატომ არის მათზე გამოსახული ესა თუ ის სიმბოლო და რა არის საქართო და განმასხვავებული ამ დროშებს შორის.



ირლანდია - წმინდა პატრიკის ჰერალდიკური

სურ. 7. დიდი ბრიტანეთის თანამედროვე დროშის შექმნის ისტორია





სურ. 1. ბაგრატიონთა გენეალოგიური  
ხის ფრაგმენტი

## §14. გენეალოგია

გენეალოგია ისტორიის დამხმარე დისციპლინაა. ის საგვარეულოთა ისტორიას და ცალკეული პირების თუ ოჯახების წარმომავლობასა და ნათესაურ კავშირებს შეისწავლის. XVIII საუკუნეებდე გენეალოგიის ძირითადი ფუნქცია მხოლოდ საგვარეულო (გენეალოგიური) ნუსხის შედგენით ამოიწურებოდა.

გენეალოგია მჭიდროდ არის დაკავშირებული ისტორიის სხვა დამხმარე დარღებთან, განსაკუთრებით, ჰერალდიკასთან. ჯერ კიდევ ძველ დროში არსებობდა მეფების, მმართველების, მითიური გმირების საგვარეულო ნუსხები.

### წყარო 1:

„აბრაამმა შვა ისაკი; ისაკმა შვა იაკობი; იაკობმა შვა იდა და მისი ძმანი; იუდამ შვა ფერეცი და ზერახი თამარისაგან; ფერეცმა შვა რამი;...

... იაკობმა შვა იოსები, ქმარი მარიამისა, რომლისაგანაც იშვა იესო, რომელსაც ჰქვადა ქრისტე.

ამრიგად მთელი მოდგმა აბრაამიდან დავითამდე — თოთხმეტი მოდგმა; დავითიდან ბაბილონში გასახლებამდე — თოთხმეტი მოდგმა; ბაბილონიდან გასახლებიდან თოთხმეტი ქრისტემდე — მოდგმა“.

ბიბლია; ახალი აღთქმა; მათს სახარება.

### კითხვები:

1. როგორ ფიქრობ, რატომ ადგენდნენ მეფების, მმართველებისა თუ მითიური გმირების საგვარეულო ნუსხებს?
2. შენი აზრით, რა აქვთ საერთო ჰერალდიკასა და გენეალოგიას?
3. წყარო 1-ისა და 2-ის მიხედვით როგორ ფიქრობ, რამდენად სანდოა ძველი გენეალოგიური ნუსხები და რა მნიშვნელობა აქვს ასეთ წყაროებს ისტორიისთვის? პასუხი დაასაბუთე.

განსაკუთრებული მნიშვნელობა გენეალოგიამ შეიძინა შუა საუკუნეებში, როდესაც ყალიბდებოდა წოდებათა პროეილეგიები. XV საუკუნიდან ჩნდება საგანგებო გენეალოგიური ცნობარები (გენეალოგიური ზის ან ნუსხის სახით), რომლებშიც შეტანილია გვარის ყველა მთავარი და გეერდითი შტოს წარმომადგენელი. იქვეა აღნიშნული მათი საქორწინო კავშირები.

### წყარო 2

„ულობა ხელმწიფებისა“ ჩვეულებრივ უფროსს, ანუ უხუცეს შვილს ეკუთვნოდა... მეფობა პირშოობის უფლებაზე იყო დამყარებული“

ფ. ჯავახიშვილი.

პირველი ქართული ორიგინალური თხზულება, სადაც საგვარეულო ნუსხაა მოცემული, არის სუმბატ დავითის ძის (XI ს.) ნაშრომი „ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთა“.

### წყარო 3

„აშოტის ძეს ადარნასეს სამი ძე ჰყავდა: გურგენი, რომელიც სიბერეში კურაპალატად დასვეს, აშოტ კეგელა და სუმბატ არტანუჯელი, რომელიც მის ხელმწიფობას ანთაპათოს-აბატიკად დასვეს. ... აშოტის მეორე ძეს, ბაგრატ კურაპალატაც სამი ძე ჰყავდა: დავით, რომელიც შემდგომ კურაპალატად დაჯდა, ადარნასე და აშოტი. აშოტის მესამე ვაჟს, გურამს კი ორი ძე ჰყავდა: ნასრა და აშოტ.“

აშოტ კექელა მოკვდა ქორონიკონსა პზ, რის შემდეგაც გურგენი კურაპალატად დასვეს. მამამისზე ადრე მოკვდა აშოტი, ქე გუარამ მაფალისა...არ დარჩენია ქე. მამის სიცოცხლეშივე მოკვდა ადარნასე, ბაგრატ კურაპალატის ქე...მასაც არ დარჩენია ქე. თუად ბაგრატ კურაპალატი მოკვდა ქორონიკონსა უვ და ამის შემდეგ მისი ქე დავით კურაპალატად დასვეს“. სუმბატ დავითის ქე, „ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთა“.

XIX საუკუნის დასაწყისში იოანე ბატონიშვილმა ვრცელი გენეალოგიური ნაშრომი შექმნა. მასში ქართლ-კახეთის სამეფოს 62 სათავადო და 200-ზე მეტი სააზნაურო სახლია შესული.

ამავე პერიოდში მეფის მთავრობაში შემოიღო საქართველოს არისტოკრატიულ საგვარეულოთათვის სათავადო და სააზნაურო ხარისხის დამტკიცება. ცალკეულმა საგვარეულოებმა გენეალოგიური ნუსხები შეადგინეს და სხვა საბუთებთან ერთად დასამტკიცებლად მთავრობას წარუდგინეს.

### კითხვები:

1. წყარო 3-ის მიხედვით, შეადგინე აშოტის შემკვიდრეთა გენეალოგიური სქემა.
2. რით არის მნიშვნელოვანი სუმბატ დავითის ძისა და იოანე ბატონიშვილის ნაშრომები საქართველოს ისტორიის მკვლევართათვის?
3. რა მნიშვნელობა აქვს გენეალოგიას, როგორც დამხმარე დისციპლინას ისტორიული კვლევის პროცესში?

### დამოუკიდებელი სამუშაო:

შეასრულე ერთ-ერთი დაგალება:

1. შეკრიბე ინფორმაცია შენი ოჯახის წევრებზე, შეადგინე გენეალოგიური სქემა — გენეალოგიური ხე და დაასურათ ის.
2. ჩატარე მცირე კვლევა შენი მეგობრის ოჯახის გენეალოგიაზე და დაწერე თუმა „ჩემი მეგობრის ოჯახის ისტორია“. (გამოიყენე შემდეგი სტრატეგიები: სახვითი მასალა (ნახატი, ფოტო), ინტერვიუ ოჯახის წევრებთან; შეადგინე და ნაშრომს დაურთუ გენეალოგიური სქემა)

### განმარტება


ანთიპათოს-პატრიკი — ბიზანტიური საკარისკაცო (სამოხელეო) ტიტული.

## §15. გამომსახველობითი ფიაროები

### ა) სახვითი და ფოტომასალები

სახვითი ხელოვნების ზოგიერთ ნიმუშს ისტორიული წყაროს დატვირთვა აქვს. პირველი ასეთი სახვითი წყაროები პრეისტორიული ადამიანის მიერაა შექმნილი. ეს ქმნილებები ყველგან გვხვდება: გამოქაბულებში თუ კლდებზე, საყოფაცხოვრებო ნივთებსა თუ სამკაულებზე. ეს პრიმიტიული ნახატები გვიამბობენ ათიათასობით წლის წინ მცხოვრები ადამიანების ცხოვრების წესზე, მათ ინტერესებსა თუ რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებზე. ამ ტიპის წყაროები ისტორიკოსთათვის მნიშვნელოვანია.

კლდის მხატვრობა, იგივე პეტროგლიფი, გამოქვაბულის კედლებზე, კლდებსა თუ ცალკეულ ქვებზე შესრულებული უძველესი გამოსახულებებია. ამ ტიპის ნახატები დედამიწის თითქმის ყველა კუთხეში გვხვდება და სხვადასხვა ეპოქას მიეკუთვნება: პალეოლითი-



სურ. 1. უძველესი კედლის მხატვრობა

დან — შუა საუკუნეებამდე. პალეოლითის ხანის კლდის მხატვრობის ნიმუშები დიდი რაოდენობით გვხვდება სამხრეთ საფრანგეთის გამოქვაბულებსა და გროტებში (კომბარელი, მონტესპანი, ლასკო და სხვა). ნახატებში ჭარბობს ბიზონების, მამონტების, მარტორქების გამოსახულებანი. სკანდინავიის (ალტას კლდის მხატვრობა), აღმოსავლეთ ესპანეთის, სამხრეთი იტალიის, ჩრდილოეთ აფრიკის (ტალისინაჯერი), ცენტრალური და აღმოსავლეთ საკარის მხატვრობაში უმთავრესად ნადირობის, ბრძოლის, რიტუალების ამსახველი როული კომპოზიციებია წარმოდგენილი.

საქართველოში აღსანიშნავია მღვიმევის (ზედა პალეოლითი) კლდის მხატვრობა. კლდის მხატვრობის თვალსაჩინო ნიმუშები ნაპოვნია წალკის სამხრეთ-დასავლეთით. კლდებზე გამოსახულია ცხოველები — ცხენი, ირემი, ჯიხვი, მელა, შველი, აქლემი, ლომი და სხვა. აგრეთვე ფანტასტიკური არსებანი, სხვადასხვა ხასიათის სცენები, ადამიანთა, შის, ჯვრების გამოსახულებები, გეომეტრიული ფიგურები. აღნიშნული ნახატები სხვადასხვა პერიოდისაა.

### კითხვა:

გაანალიზე, რატომ არის ისტორიკოსთათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი პრეისტორიული სახვითი მასალები?

XIX –XX საუკუნეების მოვლენების აღწერისას კინო-ფოტო-ფონო დოკუმენტები ხშირად გამოიყენება, როგორც ისტორიული წყარო.

ფოტო დოკუმენტები გადმოგვცემენ კონკრეტულ ისტორიულ მოვლენას უძრავი კადრის სახით. კინოდოკუმენტი ისტორიული მოვლენის ამსახველ კადრებს დინამიკაში წარმოგვიდგენს, ხოლო ფონოდოკუმენტი ამა თუ იმ მოვლენის მონაწილეთა ხმოვანი ჩანაწერია.



სურ. 2. ერთ-ერთი ძირული ფოტოსარატი

### ეს სანტერუსოა:

ფოტოგრაფიის გამოვლენების თარიღად ითვლება 1839 წლის 19 აგვისტო. ამ დღეს პარიზის მეცნიერებათა აკადემიაში ფიზიკოსმა დომინიკ არაგომ განაცხადა, რომ ლუი დაგერმა და ჟოსეფ ნიეპსემა შეიმუშავეს გამოსახულების მიღების ხერხი, რომელსაც მოგვიანებით დაგეროტიპია უწოდეს. ფარულგამოსახულებინი ფირფიტა მუდავნდებოდა ვერცხლისწყლის ორთქლით. გამეღავნებული გამოსახულება ფიქსირდებოდა სპეციალური ხსნარით. ამის შედეგად არეკლილ სინათლეზე ფირფიტის დათვალიერებისას, ჩანდა პოზიტიური გამოსახულება (დაგეროტიპი), რომლის გამრავლება შეუძლებელი იყო.

მოგვიანებით ინგლისელმა მეცნიერმა უილამ ტალბოტმა დაამუშავა შუქმერძნობიარე ქაღალდზე გამოსახულების მიღების ხერხი, რომელსაც კალოტიპია ეწოდა. დაგეროტიპისაგან განსხვავებით, ამ ხერხით იღებდნენ არა პოზიტივს, არამედ ნეგატივს, რომლიდანაც შეიძლებოდა ნებისმიერი რაოდენობის ფოტოს დამზადება.

### დავალება:

შეასრულეთ ერთ-ერთი დავალება:

ა) დააკვირდი ფოტოებს (სურ 3; 4; 5) და აღადგინე და აღწერე ისტორიული პროცესი.



სურ. 3. სტალინგრადის ბრძოლა



სურ. 4. საკონცენტრაციო ბანაკი



სურ. 5. ბერლინი

ბ) სურ. 6-ის ფოტოების მიხედვით იმსჯელე იმ ისტორიული პროცესების შესახებ, რომელთაც განაპირობეს ცვლილებები ფოტოში. შენი აზრით, რამდენად მართულია, ამ ტაიპის ცალკე აღებული ერთი ფოტო მოვიჩნიოთ ისტორიულ წყაროდ? პასუხი დაასაბუთე.



სურ. 6. სტალინი თანამებრძოლთა გარემოცვაში

### ბ) კინემატოგრაფი

კინოაპარატის გამომგონებლის ვინაობა საკამათოა. ერთ-ერთი ვერსიით, მოწყობილობა 1892 წელს ფრანგმა ლეონ ბულიმ გამოიგონა. მაგრამ, უსახსრობის გამო იძულებული გახდა, კინოაპარატის წარმოების ლიცენზია ძმები ლუმიერებისათვის მიეყიდა.



სურ. 7. ძმები ლუმიერები

მალე ლუმიერებმა შექმნეს პირველი ფილმი „მუშები ლუმიერების ქარხანას ტოვებენ“ (1894 წ.). ძმებმა ფილმი საზოგადოებას 1895 წლის 28 სექტემბერს წარუდგინეს ლედენში, მსოფლიოს პირველ და უძველეს კინოთვატრში. ფილმის პირველი კომერციული საჯარო ჩვენება შედგა პარიზში, 1895 წლის 28 დეკემბერს.

ეს იყო ლუმიერების ერთ-ერთი პირველი მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „მატარუბლის შემოსვლა ლა-სიოტას ვაგზალზე“. ფილმის სიუჟეტი ასეთია: მატარუბელი შემოდის ლა-სიოტას ვაგზალზე და მატარუბლის გასწვრივ მოძრაობენ ადამიანები. ფილმის ჩვენება შოკისმოგვრული აღმოჩნდა, ზოგიერთი მაყურებელი პანიკამაც კი მოიცვა. როგორც ჩანს, საზოგადოება ფსიქოლოგიურად ჯერ კიდევ არ იყო შად, აღექვა ერანშე მატარუბლის „გაცოცხლებული“ გამოსახულება.

აი, რას წერდა იმ პერიოდის პარიზის პრესა: „....და უცებ, რაღაც ჩხაკუნებს, ყველაფერი ქრება, ეკრანზე გამოჩნდა მატარუბელი. ის ისარიგით პირდაპირ თქვენ კენ მოემართება — ფრთხილად! გეჩვენება, რომ ის აი, ახლა პირდაპირ დარბაზის სიბრუნვეში გადმოეშვება, უცებ გაქცევს ხორცის ნაფლეთებად და დამსხვრულ ძვლებად და მტვრად აქცევს დარბაზსაც, სადაც ამდენი ლვინო, ქალი, მუსიკა და ცდუნებაა“.



სურ. 8. კადრი ფილმიდან

### კითხვები:

1. შენი აზრით, ენიჭება, თუ არა, ისტორიული წყაროს მნიშვნელობა კინო-ფოტო-ფონო ჩანაწერებს?
2. როგორ ფიქრობ, საწყის ეტაპზე რატომ პქონდა შოკისმოგვრული ეფექტი კინოს?
3. შენი აზრით, შეიძლება, თუ არა, ლუმიერების პირველ ფილმებს ისტორიული წყარო ვუწოდოთ? პასუხი დაასაბუთე.

კინემატოგრაფია თანდათან ვითარდებოდა და სულ უფრო მეტი ინტერესს იწვევდა საზოგადოებაში. კინო ხელოვნების დამოუკიდებელ დარგად ჩამოყალიბდა და მასში უამრავი მიმართულება, უანრი გაჩნდა.

კინოხელოვნების კონცეფცია შეა-თეთრი ან ფერადი „მოძრავი ნახატების“ პროექცირებაა ეკრანზე. კინოხელოვნება არის ლიტერატურის, თეატრის, მუსიკისა და სახითი ხელოვნების სინთეზი, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი გამოხატვის საშუალებებით, რომელთაგან უმთავრესია კინოგამოსახულების ფოტოგრაფიული ბუნება და მონტაჟი.

ხელოვნების ეს დარგი თითქმის მთლიანად არის დამოკიდებული ტექნიკურ საშუალებებზე, მათ შორის, ფოტოგრაფიების მოძრაობის, პროექცირების, გახმოვნების, კინოფირების დამუშავებისა და გამუდარების ტექნოლოგიებზე.

კინოხელოვნება კინონდუსტრიის განუყოფელი ნაწილია. კინონდუსტრია აწარმოებს კინოაპარატურას, გადასაღებ, გასამრავლებელ, სადემონსტრაციო და სხვა ტექნოლოგიურ მოწყობილობებს. კინოხელოვნებისა და კინონდუსტრიის ერთობლიობას კინემატოგრაფია ეწოდება.

**კითხვები:**

1. როგორ ფიქრობ, რამდენად მნიშვნელოვანია სხვადასხვა ტექნილოგიების გამოყენება კინო-ფოტო მასალის, როგორც ისტორიული დოკუმენტის შესწავლისას?
2. შეიძლება, თუ არა, პორტრეტული გამოსახულება ჩავთვალოთ ისტორიულ დოკუმენტად?
3. როგორ ფიქრობ, შეიძლება, თუ არა, კინო-ფოტო წყაროების გაყალბება და რამდენად შესაძლებელია სიყალბის გამომჟღავნება?
4. რა განსხვავებაა მხატვრულ და დოკუმენტურ კინოს შორის?



ქართული კინოს ისტორია 1908 წლიდან იღებს სათავეს ვასილ ამაშუკელისმიერ ბაქოშიგადაღებული პირველი ქართული დოკუმენტური ფილმებით „ქართველი სცენის მოღვაწენა“ და „ქანახშირის გადაზიდვა აქლემებით“.

პირველი ქართული მხატვრული ფილმია „ელისო“ (რეჟისორი ა. წუწუნავა). ფილმი ასახავს მეფის რუსეთის მცდელობას შობლიური მიწიდან აყაროს თავისუფლების მოყვარე ჩეხენი ხალხი, მათ ნაცვლად კი კაზაკები ჩაასახლოს.



სხვადასხვა დროს ქართული კინემატოგრაფიის გამორჩეული წარმომადგენლები იყვნენ და არიან: ნიკოლოზ შენგელაია, მიხეილ ჭიაურელი, სიკო დოლიძე, კოტე მიქაბერიძე, თენგიზ აბულაძე, რევაზ ჩხეიძე, ოთარ იოსელიანი, ალექსანდრე რეხვიაშვილი, ელდარ და გიორგი შენგელაიძები, რეზო ესაძე, მერაბ კოკიჩაშვილი, ნანა მჭედლიძე, ლანა ლოლობერიძე, ნანა ჯორჯაძე, გოდერძი ჩოხელი, თემურ ბაბლუანი და სხვები.



ქართული კინოს ერთ-ერთი უდიდესი თაყვანისმცემელი იყო დიდი იტალიელი კინორეჟისორი ფედერიკო ფელინი: „ქართული კინო უჩვეულო ფენომენია, განსაკუთრებული, ფილოსოფიური გამონათებაა, როგორი და ამჟე დროს ბუშვურად წმინდა და უმანკო. მასში ყველაფერია, რაც მე მატირებს და მინდა გითხრათ, რომ ეს (ჩემი ატირება) არც ისე ადვილია“

**დამოუკიდებელი სამუშაო:**

ალბეჭდეთ ფირზე თქვენთვის საინტერესო კადრები (ფოტო, ვიდეო). მოამზადეთ თქვენი სკოლის (ქალაქის, სოფლის, უბნის) ისტორიის ამსახველი მასალის კოლაჟი. ფოტო ან ვიდეო მასალას თან დაურთუთ ინტერვიუ, რომელიც სრულყოფს მას, როგორც ისტორიულ წყაროს.

**ლექსიკონი:**

გროტი — გამოქვაბული ზღვის ფლატონ ნაპირზე, აგრეთვე გამოქვაბულის მსგავსი ზელოვნური ნაგებობა.

სინემატოგრაფი (cinématographe) — კამერა, რომელიც მოიცავს კინოპროექტორსა და გადამდებ მოწყობილობას. გამოიგონეს მე-19 საუკუნის 90-იან წლებში.